

# დემოკრატიული საქართველო

La Géorgie  
საქართველო  
საზოგადოებრივი  
Indépendante  
Revue mensuelle  
FÉVRIER  
1938 — № 143

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ე .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეტაფორი—ისევ ძველი გზით.  
გ. გვაზავა—რუსთაველი და მისი შემოქმედება.  
გ. ქურული—ბათუმ-აჭარის მხარეები.  
ხ. ფირცხალავა—ეროვნული აზრი და ერ. გრძნობა.  
მ.—ძგ—ილია.  
რუსთაველის დღესასწაული პარიზში.

ნაჟრი—წერილი ამერიკიდან.  
X.—ერთა ლიგის დამხმარე ასოციაც. კრება.  
ნ. ი.—წერილი გერმანიიდან.  
მემორანდუმი.  
ბიბლიოგრაფია.  
ქართველები პოლონეთში.

## ი ს მ ვ კ ვ ე ლ ი ბ ზ ი თ

ევროპული პრესა ახმაურდა ერთი ეპიზოდის გამო საბჭოთა კავშირში. ეპიზოდი თავის თავად დიდს არაფერს წარმოადგენს ჩვენი მკითხველის თვალში, მით უფრო, რომ ის «ჩაწყობილია», როგორც ყველაფერი, რაც კი ქვეყნდება მოსკოვში «ხალხთა შამის» სახელით. ერთი პროვინციული კომსომოლი ვინმე ივანოვი შესჩივლებს სტალინს, რომ მას ტროცკისტი უწოდეს მარტო იმისთვის, რომ არ იწამა, ვითომ სოციალიზმს საბოლოოდ გამარჯვრეს საბჭოთა კავშირში, და სთხოვს განმარტებას. სტალინი თავის საპასუხო წერილში საჯაროდ იწონებს ივანოვის პოზიციას და ამბობს: ჩვენ, მართალია, შემოვიღეთ სოციალიზმი, მაგრამ მის საბოლოო გამარჯვებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, რადგან საბჭოთა კავშირი განცალკევებულ კუნძულს არ წარმოადგენს, პირიქით, გარემოცულია ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, რომელნიც დღე და ღამ ინტერვენციით ემუქრებიან მას.—ამიტომ—განაგრძობს სტალინი სიტყვა-სიტყვით—«საჭიროა მოაწყო ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა კლასის პოლიტიკური დახმარება, ვინცობაა თუ სამხედრო თავდასხმა მოხდა ჩვენზე, ისე როგორც საჭიროა, რომ ჩვენმა მუშათა კლასმაც მოაწყო ყოველი დახმარება ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა კლასისათვის»; მაშასადამე—ასკენის სტალინი—მხოლოდ ამ პირობით შეიძლება სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება როგორც ჩვენში, ისე მთელს მსოფლიოში.

როგორც ხედავთ, სტალინი უკან იხევს ტროცკისაკენ, რომელიც სისულელედ სთვლიდა სოციალიზმს «ერთ ქვეყანაში» და მის გამარჯვებას მსოფლიო რევოლუციას უკავშირებდა. ზედმეტია შეჩერება იმაზე, თუ რა ჯურის სოციალიზმი დაამყარა სტალინმა საბჭოთა კავშირში, რამდენად გადააჭარბა მან აღმოსავლეთის უძველეს დესპოტიებს ხალხთა, საზოგადოების ყველა წრეთა და ცალკე პირების კისერზე გაუგონარი მონური უღელის დადგმით. მაგრამ ეგ როდი აინტერესებს ევროპას, საბჭოთა კავშირი მართლა. განცალკევებული კუნძული იყო და არის მისთვის, სადაც ბოლშევიკებს დაუსჯელად შეუძლიათ, ივარჯიზონ იქაურ ხალხთა ზურგზედ. ევროპას აინტერესებს, უფროთის კიდევ, რომ იგივე «სამოთხე» არ დაამყარონ მოსკოვიტებმა მის ქვეყნებში.

და ამ მხრივ კი ერთი და იგივე არაა, რას იტყვის, მაგ., ლტოლვილი ტროცკი სადაც მექსიკაში და რას ამბობს სტალინი, ხმელეთის მექსიკედის ნამდვილი მპყრობელი, მთელი თავისი დამხრევი პოტენციით. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ ასე ცხარედ გამოეხმაურა სტალინის «უმოწყალეს რესკრიპტს», ვილაც ივანოვის სახელზე, ტოტალურ სახელმწიფოთა პრესა. უკანასკნელი ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ კომინტერნი და სოვნარკომი ერთი და იგივეა, ორივე იარაღი სტალინის ხელში, რათა ქვა ქვანედ არ დასტოვოს განათლებულ ქვეყ-



ნიერებაში, ამიტომ შეიქმნა კიდევ ბერლინი-ტოკიო-რუმის ღერძი.

გასაკვირი ისაა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები მხოლოდ ესაა იფუნქციონირებენ თვალსაზრისით, ნაშუალოდ—თავი მოაქვთ იმით, რომ აღმოაჩინეს ეს საშიშროება. მართლაც, დააკვირდით სტალინის სიტყვებს, რას მოასწავებს მუშათა კლასის ურთიერთი დახმარება ომის დროს? «სამხედრო თავდასხმა» სხვა არაფერია, გარდა საგარეო ომისა, და ამ შემთხვევაში, სტალინის ბრძანებით, საბჭოებთან მეომარ ქვეყნის მუშათა კლასი საბჭოთა მუშათა კლასს უნდა დაეხმაროს, ე. ი. თავისი სამშობლო სხვის, მტრის, სამშობლოს უნდა ანაცვალოს! არაერთხელ გვითქვამს აქვე, რომ ისტორიას არ ახსოვს ისეთი ხანა, როცა სხვა ქვეყნების მასიური პოლიტიკური პარტია მზად ყოფილიყოს, თავის ერისთვის ზურგში დანა ჩაეცა, დამხმარე ხელის მტრისათვის გაწოდებით. კომუნისტური პარტიები ყველგან, სადაც ისინი დაშვებული არიან, სწორედ ამ მუხანათურ როლს კისრულობენ მათი აღის, კრემლის, ბრძანებით.

«ტან»-ში ვკითხულობთ: «სტალინის წერილი შეეფერება დღევანდელ საერთაშორისო ვითარებას, რომელშიც ომის საშიშროება თანდათან ირკვევა, და აქედან მოითხოვს ამ მუქარის ქვეშ მყოფ ქვეყნების მცხოვრებთა იდეოლოგიულ და ნივთიერ მომზადებას. ამიტომ მოსკოვი განსაკუთრებულ ჯალბდებას აქცევს იმ დახმარებას, რომელსაც ის ელის სხვა ქვეყნების მუშათა კლასისაგან და თვითონაც პირიქით მათ. ეტყობა, მოსკოვი უპასუხებს ტროცკის მეოთხე ინტერნაციონალს, რომელიც მას რევოლუციურ სირბილეს სწამებდა». ცხადია, მაშასადამე, რომ თვით ფრანგულ «დარბაისლურ» გაზეთსაც შეუგნია, რისთვის დასჭირდა სტალინს ეს საჯარო დემონსტრაცია: გარედან თავდასხმის მოლოდინში ის ეძებს ხსნას არა საკუთარ შეიარაღებულ ძალაში, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებაში; ამიტომ შეუდგა ის მსოფლიო რევოლუციის მოწყობას სამოქალაქო ომის გაჩაღებით ყველგან, სადაც კი საგარეო ომს ექნება ადგილი.

განა იგივე მოტივები არ ამოძრავებდა სტალინს, როცა მან, ეგრედ წოდებულ უმაღლეს საბჭოს ხვეწნა-ვედრების მიუხედავად, კულისებში, უარპყრა საბჭოთა კავშირის ოფიციალური მეთაურობა და ისევ პარტიის მდივანად დარჩა? მან დაჰკარგა იმედი, რომ ხალხი, ან კიდევ მის წიაღიდან გამოსული ჯარი მედგრად შეებრძოლება გარეშე

მტერს, როცა შინა ჰყავს ისეთი საშინელი მტერი, როგორცაა თვითონ სტალინი და მისი გეპეუ.

ყველას ახსოვს, როგორის ზემოთა და რიხით დაიწყო, ამ სამი წლის წინ, «გენიოსმა» სტალინმა «უდემოკრატეს კონსტიტუციის» შემუშავება. ის იყო თვითონ მომხსენებელი როგორც პარტიის, ის სახელმწიფოს ყველა კრებებზე, და როცა მისი პრექტი საბჭოთა დამფუძნებელ კრების მიერ საბოლოოდ მიღებულ იქნა, საზღვარი არ ჰქონდა კავშირში მობინადრე ხალხთა «აღტაცებას», ისინი სწავლობდნენ, თვით «ბელადის» ბრძანებით, კონსტიტუციის თვითველ მუხლს და «შეხაროდნენ სულ ახალი ეპოქის დადგომას, ისტორიის ახალი ფურცლის გადაშლას...» როგორ დამთავრდა მთელი ეს აურ-ზაური, უმახინჯესმა არჩევნებმა და «უმაღლეს საბჭოს» ერთი კვირის ტაკიმასხარობამ დაგვანახა. სტალინმა ერთი სიტყვაც არ აღიროსა «საეპოქა დარბაისს», პლემბისციტსაც წიხლი ჰკრა და ისევ თავის ნაცად ტაქტიკას დაუბრუნდა: მსოფლიოს გადატრიალებას კომინტერნის გზით.

რა ეს, თუ არა სასტიკი, ისტორიული დამარცხება? სტალინი სერიოზულად ფიქრობდა თავისი ფაქტიური დიქტატურა იურიდიულ ფორმებში ჩამოესხა, გამოსულიყო ავანსცენაზე, როგორც ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ბატონ პატრონი და ბოლოს გაათავა იმით, რომ ის ქურდულად უბადრუკ სტაროსტა კალინინს ამოეფარა და პრეზიდენტის ერთ-ერთ სათვალავ წევრად იქცა!

მაშ ისევ მხოლოდ გეპეუ, მხოლოდ ტერორი, სანამ ომი და მსოფლიო რევოლუცია არ მოუხსრება. გასულ შემოდგომას ბოლშევიკებმა იცდესა-სწაულეს თავის ბატონობის ოციწლის თავი, ხოლო დღეს ისინი საქვეყნოდ აღიარებენ, რომ მათი სისხლიანი მართველობიდან არაფერი გამოსულა, გარდა ეკონომიურ ქაოსისა, უფლებრივ უმწეობისა და ზნეობრივ დაქვეითებისა. მათ მიერ აგებული ხუხულაკი, სახელმწიფოდ წოდებული, უკვე დანგრევის პირზეა, თუმცა მტერი ჯერ კიდევ მხოლოდ ემუქრება მას გარედან. სტალინი ვერ ბედავს თავისი სვებედი ამ ხუხულაკს დაუკავშიროს, გამოვიდეს მის მესვეურად საერთაშორისო ასპარეზზე და უბრუნდება ბოლშევიკურ არაოცხალურ სარდაფს, საიდანაც ლამობს კაცობრიობის აფეთქებას...





**რუსთაველი და მისი შემოქმედება**

(სიტყვა წარმოდგენილი, 30 იანვარს 1938 წ.,  
რუსთაველის დღეებზე)

«იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი»..

ასე იწყება რუსთაველის პოემა, მაგრამ როცა წაიკითხავ როსტევანის და თინათინის ამბავს, ეპიკე გეპარება და თავს ეკითხები: მართლა არაბეთზეა აქ ლაპარაკი?!

თინათინი ადის ტახტზე.— შესაძლებელი იყო ეს არაბეთში?! დედაკაცს როდისმე ეჭირა ხალიფის ან სულტნის ტახტი?! პოემაში ასეა აწერილი ეს ზეიმი: «თინათინ მიჰყავს მამასა სახითა მით ნათელითა, «დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა, «მისცა სკიპტრა და შემოსა მეფისა სამოსელითა... ეს ცერემონია სრულებით ქრისტიანულია, ბიზანტიური ან ქართული. მუსულმანურ ქვეყნებში არ იციან არც გვირგვინი, არც სკიპტრა, არც პორფირი (მეფეთა სამოსელი). სულტნებმა და ხალიფებმა იცოდნენ მხოლოდ ჩაღმა ან ტურბანი, შემკული ძვირფასი ქვებით. მაშასადამე, გამოდის, რომ თინათინი ტახტზე ავიდა მუსულმანურ ქვეყანაში ქრისტიანული წესით და ზეიმით!

ეს კიდევ ცოტაა, არსად, არამც თუ სამუსულმანო ქვეყანაში, არსად მთელს საქრისტიანოში არ ყოფილა მაგალითი, რომ რომელიმე მეფეს თავისივე სიცოცხლეში თავის ქალიშვილი აეყვანოს სამეფო ტახტზე. ეს მოხდა მხოლოდ საქართველოში, როცა გიორგი მესამემ თავის ქალიშვილი თამარი გამოაცხადა საქართველოს მეფედ. შემდეგ, პოემაში ნათქვამია: «ყმა ტკბილი და ტკბილ ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი...» გამოდის, ავთანდილი და თინათინი არაბეთში ქართულად ლაპარაკობდნენ!

დაბოლოს, თვით რუსთაველი აცხადებს თავის წინასიტყვაობაში თამარის შესახებ: «მისი სახელი შეფრქვევით ქვემოზე მითქვამს, მიქია». ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ არაბეთი არის მხოლოდ პოეტური ტრანსპორტი საქართველოსი; პოემაში დახატულია და დასურათებული მხოლოდ საქართველოს სახე, ზნე და ჩვეულება, და არა არაბეთისა.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ «ვეფხისტყაოსანი» არის უაღრესად ეროვნული, ქართულ-ნაციონალური შემოქმედება. ეს მითი უფრო უქვევლია, რომ ის სრულებით გაქვნილია ქართული სულით და ხასიათით. ქართული სული იხატება თავდაპირველად სიტყვიერებაში. თქვენ ვერ იტყვით ქართულად: ქმარ-ცოლი, მამა-დედა, ვაჟ-ქალი და სხვა. თქვენ უნდა თქვათ: ცოლ-ქმარი, დედ-მამა, ქალ-ვაჟი—ე. ი. თვით ბუნება ქართული ენისა პირველ ადგილს უთმობს ქალს და მეორეს—მამაკაცს. რუსთაველის თხზულებაშიც პირველი ადგილი უჭირავს ქალებს, მეორე—მამაკაცებს. ასეთი პატივისცემა, ასეთი კულტი დედაკაცისა იყო მხოლოდ საქართველოში და არა მუსულმანურ ქვეყნებში.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავს პატივისცემა ყოველი რჯულისა. სხვისი რჯულის დევნა საქართველოში არ გაოჩნდა. ქართველ მეფეები ხშირად დადიოდნენ მეჩეთში და ლოცულობდნენ იქ.

მაშინ, როდესაც მთელი დასავლეთი ებრძოდა აღმოსავლეთს ქრისტეს საფლავის დასახსნელად, საქართველო განეხიდა და მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა მუსულმანების მიმართ. სხვანაირად არც კი შეიძლებოდა, ვინაიდან მაშინდელ საქართველოს საზღვრებში შედიოდა ბევრი სამუსულმანო ქვეყნები. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენი საზღვრები მაშინ მიდიოდა აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე და სამხრეთით ყაზვინანდე და არზრუმამდე. აშკარაა, ამ ეროვნულ კულტურის ნიადაგზე აღმოცენდა რუსთაველის შემოქმედებაც, საიდანაც სრულებით განდევნილია რელიგიური დავა და კონტრაგენტი.

ამიტომ ვამბობთ: «ვეფხისტყაოსანი» არის უაღრესად ეროვნული ნაწარმოები, აღმოცენებული მხოლოდ ქართული კულტურის ნიადაგზე.

ეს, რასაკვირველია, სრულებით ხელს არ უშლის მის საკაცობრიო, მსოფლიო მნიშვნელობას.

მსოფლიო ხასიათი «ვეფხისტყაოსნისა» იხატება თავდაპირველად მის ფილოსოფიურ კონცეპტიაში. რუსთაველის რწმენით, არსებობს ღმერთი, უცნაური და უთქმელი, რომელმაც შექმნა ქვეყნიერება, მაგრამ შექმნა ისე, რომ მასში ჰმეფობს რაღაც უცნაური ძალა, უცნაური ფლუიდი, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი არსება, სულდგმული და უსულა. ეს ძალა გახლავს სიყვარული. მოიგონეთ ავთანდილის მიმართვა ვარსკვლავებისადმი. ის მიდის სადღაც უდაბნოში, შესტირის ვარსკვლავებს, ლაპარაკობს თავის დაუშრეტელ სიყვარულზე. ვარსკვლავებიც თითქო იზიარებენ მის ტანჯვას; მხეცებიც კი ტყიდან გამოდიან, რომ ყური დაუგდონ მას: «წყლით ქვანიცა გამოხსნიან,—ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან...» თქვენ ჰგედავთ, მთელი ბუნება ჰგრძობს და ცოცხლობს, მთელ ბუნებას ესმის და გაეგება მისი ტანჯვა, ვინაიდან მთელს ბუნებაში გადახსმულია იგივე სული, გამსჭვალულია იმავე ფლუიდით, რომელსაც ჰქვია სიყვარული.

ეს მსოფლიო სული ყველგან არის, მაგრამ კაცობრიობის ცხოვრებაში ის ჰღებულა სხვა და სხვა სახეს, სხვადასხვა ფორმას. ქალის მიმართ—ეს არის მიჯნურობა, კაცის მიმართ—ეს მეგობრობაა, საზოგადოების მიმართ—სოციალური სამართალი, ერთა განწყობილებაში—საერთაშორისო ძმობა. ძირითადი საფუძველი ყველგან ერთია—სიყვარული. ის ასულდგმულს ქვეყნიერებას, ანთებს ენტუზიანზს და მიაქანებს მიწიერ ცხოვრებას იდეალისაკენ. იდეალია მისივე განხორციელება: განხორციელება მიჯნურობის ე. ი. მაღალი და ფაქიზი სიყვარულის ქალისადმი, მეგობრობის, სოციალური სამართლის და საერთაშორისო ძმობისა. სულ ეს—საკაცობრიო იდეალია, რომელიც დღესაც, შვიდნახევარი საუკუნის შემდეგ, ჰრჩება იმავე იდეალად მთელი კაცობრიობისათვის.

დიალ, ეს იდეალი ძალა მიაქანებს კაცობრიობას იდეალისაკენ, მაგრამ ეს გაქანება არ არის ადვილი და თავისუფალი. მას წინ ელობება ბევრი ბნელი ძალა. რუსთაველმა მოგვცა საკვირველი განსა-



ხიერება ამ ბნელი ძალებისა: ეს გახლავს ქაჯეთის ციხე, ციხე ძალადობის, ტანჯვის და უსამართლობისა. ეს ციხე უნდა დაინგრეს. მისი დანგრევა შეიძლება მხოლოდ შეერთებული ძალებით სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა ხალხისა. და აი, წარმომადგენელი სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა ხალხისა,—ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი,—დაეცემიან და ანგრევენ ამ ციხეს. ისმის ჩხარა-ჩხური რკინისა, ილეწება ჯაჭვი და მუწარადი, ეხეთქება ქვა ქვას, ინგრევა ციხის კედელი... თავისუფლდება ნესტანი, ეს სიმბოლო სიტუაციის და სიყვარულისა.

მშვენიერია რუსთაველის კალმით დახატული ეს ბრძოლა, ეს შეტაკება ორის სხვადასხვა სამყაროსი. მაგრამ რაც გინდა იყო, ეს არის შეტაკება მხოლოდ გარეგნული, შეტაკება ნივთიერების, მატერიისა... რუსთაველის სიდიადე უფრო სხვაგანა ჰდევს.

რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში მგონი პირველი მწერალია, რომელმაც ღრმად ჩაიხედა ადამიანის სულში და თვალწინ გადაგვიშალა ბრძოლა არა მატერიათა შორის, არა ნივთიერი, არამედ ბრძოლა სულიერი, რომელიც არა ნაკლებ საშინელია, ვიდრე შეხლა-შემოხლა მატერიალურ სფეროში. ეს გახლავს განუწყვეტელი კონფლიქტი გონების და გულისა, აზრისა და მოქმედებისა. ეს კონფლიქტი განსახიერებელია ტარიელის და ავთანდილის პიროვნებაში.

ტარიელი უფრო გულს წარმოადგენს, ავთანდილი—უფრო გონებას. პირველი გადაჰყვავს ვნებათა ღელვას ისე, რომ დაივიწყა ყველაფერი—სამშობლო, სახელმწიფო, სახელი და დიდება; ის გადაჰყვავს ნესტანის სიყვარულს და, რადგანც ვერსად ვერ იპოვა თავის დაკარგული სატრფო, მოიშალა, მოწყდა და მივიდა სამარის კარამდე. ის გონებით განათლებული კაცია, კარგად იცის. რომ ასეთი საქციელი სიგიჟეა და სისულელი, მაგრამ მის აზრს არა აქვს არავითარი გავლენა მის ნებისყოფაზე, მის მოქმედებაზე. აი როგორ ახსიათებს მას ასმათი:

«გული, ცნობა და გონება ერთმანეთიდან ჰკიდიან, «რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან; «უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან... ავთანდილს სწორედ ამისი ეშინიან. აი როგორ ახსიათებს იგი კაცის გულს:

«გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი, «გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამოხმელი...»

შეიძლება კაცი მიენდოს ამისთანა ძალას?! აიღეთ ის ტრადიკული მომენტი, როცა ავთანდილი აპირებს მეორედ გაპარვას. იგი გრძობს, რომ ტარიელისთვის თავგამოდება მეტად სახიფათო საქმეა, შეიძლება, რომ სულ დაღუპოს თავის თავი. ის სწერს ანდერძს, მერე ჰლოცულობს. საინტერესოა, ამ კრიტიკულ მომენტში რას სთხოვს იგი უფალს?

«უცნაურო და უთქმელო, უფალო უბფლებათაო! «მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის მთმობაო!»

რა არის «დათმობა სურვილთა»? ავთანდილს გაიკებით უყვარს თინათინი, მაგრამ ამ სიყვარულს

ლოცვაში უჭირავს მეორე ადგილი; მესამე ადგილი უჭირავს თხოვნას—«მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდო!» აშკარაა, თავდაპირველად მისთვის საშიშარია მისივე გული, «გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამოხმელი». ამიტომ ჰთხოვს ღმერთსა «მომეც დათმობა სურვილთაო», ე. ი. მომეც ძალა, რომ გული დაგუმორჩილო გონებასაო. მართლაც ავთანდილი ყოველთვის მისდევს გონებას, ის ფიქრობს, აზროვნებს, ადგენს მოქმედების გეგმას და ყოველთვის გამარჯვებული რჩება, რადგანაც ყოველთვის ბატონია თავის გულისა. «ჰხამს, რომ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოავს», ამბობს იგი: «მიკვირს ნაღველი კაცისა ჭკუიანისა, სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა და სავგანისა»... ის დარწმუნებულია, რომ კაცს შეუძლია თავისუფლად მიიღოს მიზანშეწონილი გადაწყვეტილება, და აღასრულოს იგი. ამისთვის საჭიროა ბედი, მაგრამ არა ნაკლებ საჭიროა ცდა: «ბედი, ცდა—და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცავხედების». ამიტომ «ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა».

მაგრამ ამავე დროს ავთანდილს გაგიჟებით უყვარს თინათინი. გული მას ეკუთვნის, გონება კი ავალეებს სულ სხვა მოქმედებას. იხეთქება ორად მისი ბუნება. აქედან—მუდმივი ბრძოლა მის გულსა და გონებას შუა; ეს მისი ტრაგედიაა და ამავე დროს ტრაგედია მთელი კაცობრიობის: «იმღერს ღექსთა საბრალთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან...»

იმავე ყოფაშია ტარიელი. მხოლოდ ის სულ გადაიტანა გულმა, ვნებათა ღელვამ დაჩრდილა და მოსპო მისი გონების ძალა. როცა ავთანდილი მას ეუბნება: «ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ», ის უპასუხებს: «ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?!» «აჲ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტრო და თავსა ვიცე, მაგრა გვედრებ დამარხვასა, მნეცთ საქმელად არ მივიცი.» ტარიელი მიწურულია სიკვდილამდე, მაგრამ კმარა გაიგოს, რომ მისი საყვარელი კიდევ ცოცხალია სადღაც, რომ სიყვარულის ღვთიურმა ძალამ ისევ დაუბრუნოს ჯანი და სიცოცხლე, აუნთოს ენტუზიაზმი და ცოცხალ-მკვდარსა შობებრს ისევ გმირული სული. ამიერ მას ვერ გააჩერებს ვერაფერი, არ შეეპარება არც ეჭვი, არც შიში, ის შეეხეთქება ქაჯეთის ციხეს, რომ მოსპოს ტანჯვის და უსამართლობის სიმეღე და დაუმკვიდროს გამარჯვება სიყვარულს.

ესლა შეადარეთ ეს ორი გმირი, ტარიელი და ავთანდილი, ჰომიროსის აქილევს, გეტის ფაუსტს, შექსპირის ჰამლეტს, ბაირონის ჩაილდჰაროლდს,— და თქვენ დაინახავთ, თუ რა ღრმად იჭვრიტება რუსთაველი ადამიანის ბუნებაში და რა მშვენიერად, რა სახეებით, რა მუზიკალობით დაგვისურათა ის სულიერი დრამა, რომელსაც განიცდის ადამიანი და მამსასადამე მთელი კაცობრიობა.

რუსთაველი ესლა გამოდის წარსულ საუკუნეთა ბურჟუზიდან და, მჭირ არ არის, ის დაიჭერს არა უკანასკნელ ადგილს მსოფლიო ლიტერატურის ვარსკვლავთა შორის.





### ბათუმ-აჭარის მხარეები

(ფურცლები რკველიდან)

ბათუმ-არტან, არტანუჯ-ართვინის და ჩაქვა-ქობულეთის საქართველოს სხვა მიწებთან შემოერთებას, რუს-ოსმალეთის 1877-1878 წ. ომის შედეგად, თავისი არ დაწერილი ისტორია აქვს, რომლის განსენება არ უნდა იყოს ჩვენთვის ინტერესს მოკლებული. კულისების იქით მომზადებული და მომხდარი ეს ამბები შეადგენენ კერძო არქივების, თუ ცალკე მოგონებათა შინაარსს; მათი გაცნობა უეჭველად ხელს შეუწყობდა ისტორიულ ფაქტების უკეთესად გაგებას და შეფასებას. მანამის არქივ-მოგონებებიანი გამოქვეყნდებოდეს, ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ, თუმცა არა უშუალოდ მონაწილემ იმ ძველ საქმეთა, ავწერო აქ ის ცოტა რამ, რაც სხვებისაგან გამიგონია იმ მუშაობის შესახებ, სწორედ კულისებში რომ ხდებოდა.

რუს-ოსმალს ომი რომ ატყდა, 12 წლისა ვიყავი, მაგრამ მაინც დიდ ნერვიულობას განვიცდიდი — მთელ იმ ხანაში, როდგან ოსმალეთთან ბრძოლაში მამაჩემიც მონაწილეობდა. ბევრი რამ საყურადღებო თვის მამისაგან მაქვს გაგონილი, ზოგი რამ, პირადი შეხვედრების დროს, იმ ქართველ ოფიცრებისაგან, რომელთაც ზოგიერთ შემთხვევებში ვადაწყვეტი ხელმძღვანელობა რკველით ბრძოლების ჩატარების დროს.

ართვინ-ბათუმის მხარეთა უთოფოდ ხელში ჩავდებო რუსების მიერ არ მომხდარა უცაბედად და მოულოდნელად. ამას თავისი წინასწარი სამზადისი ჰქონდა და სწორედ ამ გარემოებამ გაადვილა იმ ადგილების დაჭერა, ვინაიდან ფსიქოლოგიური სიტუაცია უკვე მომზადებული იყო. პირველი ეტაპი, რომელმაც ხელი შეუწყო ამ გარემოებას, იყო არტანის აღება. იმ რუსის ჯარში, რომელიც სამუსულმანო საქართველოს მიმართულებით იბრძოდა, თითქმის განგებ, მრავალი ქართველი მხედარი იყო განწყობებული. იქნება მართლაც განგებ მოიქცა ასე რუსის მთავარსარდლობა. ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტია. ხსენებულ მიმართულებით მოქმედ რუსის ჯარს წილად ხვდა ერთი ვადაწყვეტი გამარჯვება, როდესაც მათ ოსმალეთის მთელი ბანაკი, მრავალი ტყვეებით და დიდძალი ქონებით, ხელთ იგდეს. არტანის აღებასთან ერთად ეს ახალი გამარჯვება ვადაწყვეტი შეიქნა სამუსულმანო საქართველოს კარგა დიდი ნაწილის უბრძოლველად შემოერთებისათვის. ამ ბრძოლაში, ყველაზე უფრო მეტად, სამმა ქართველმა ისახელა თავი: პოლკ. მიხ. ამირეჯიბმა (შემდგომი კობაქუსის კომანდირი გახდა); იგი მაშინ «კოლონის» უფროსად იყო და სწორედ მისი სარდლობით მოხდა იქ ოსმალების სრული დამარცხება. ამ გამარჯვებას მამაჩემმა თავისი თვლით უყურა, როდესაც გენერ. კომაროვის შტაბთან ერთად ერთ მალლობზე იმყოფებოდა. მიხ. ამირეჯიბი, თურმე, ისეთი სიყოფაღლით წაუძღვა თავის ჯარს, რომ იმ ზემოდან მაყურებელ შტაბში მყოფმა საფრანგეთის ერთმა სამხედრო ატაშემ თავი ვეღარ შეიკავა, ალტაცებით ტაში დაუკრა და ზემოდან გადა-

სძახა: «bravo, bravo Prince Amiredjibi!» უნდა ითქვას, რომ ამირეჯიბის ეს მარჯვე იერიში საუცხოოდ იყო მომზადებული არტილერიის მიერ, სადაც ხელმძღვანელი როლი მიეკუთვნა კიდევ ორ ქართველს: პოლკ. დიმ. მუსხელიშვილს (შემდგომი საზოგადო მოღვაწე) და ახალგაზდა ოფიცრს ილიკო მაქარაშვილს (შემდგომი გენ. ლეიტენანტი). დიმ. მუსხელიშვილმა ოთხი ზარბაზანი ჩააბარა მაქარაშვილს და უბრძანა დაუყონებლივ დაეჭირა წინ მდგომი მთა-გორიანი ადგილი, რომელსაც ოსმალები გამოუდმებულად ზარბაზნებს უშენდნენ. თვითონ კი, დანაშთენი არტილერიით გვერდინად განაგრძობდა მტრის აწიოკებას. ილ. მაქარაშვილი თავისი ზარბაზნებით ქორივით აფრინდა მალლობხედ და ოსმალებისათვის მოულოდნელად დაიწყო იქიდან მათკენ მარჯვედ სროლა. ოფიციალურ რელაციაში რუსის სარდლობამ აღნიშნა, რომ პრ. მაქარაშვილმა ოთხი ზარბაზნით ოსმალების ორმოცი ზარბაზანი ჩააჩუქა... ამნაირად ამ ვადაწყვეტ დღეს გამარჯვება ხსენებული სამი ქართველის დამსახურება იყო და უეჭვოდ შეიძლება ითქვას, რომ სამივე, თავისი სარხედრო მოვალეობის აღსრულების დროს მოქმედებდნენ ავრედვე, როგორც კარგი ქართველი პატრიოტებიც. თვით თავ. მიხ. ამირეჯიბისაგან მაქვს გაგონილი: «ჩემს ბარგში, ომში რომ მქონდა წაღებული, თან გრ. ორბელიანის და ნიკო ბარათაშვილის ლექსებიც წავიყვლიეო. ბრძოლების დაწყების წინა დღეს ამ ლექსებს ვკითხულობდი, საქართველოს წარსული ომების მოგონებით გულს ვიღვლეებდი და ამით მტერს უფრო შეუბოვრად ვეძგერებოდიოთ ხოლმე იმ ჯარით, რომელიც მერჩია». რაც შეეხება დ. მუსხელიშვილს, საქმაოა გავიხსენოთ, რომ იგი თვით მკვიდრი შვილი იყო იმ მესხეთ-სამცხე-სათაბაგოსი, სადაც ომი ხდებოდა. ილ. მაქარაშვილი, მაშინ სულ ახალგაზდა, ოციოდე წლის ოფიცერი ტფილისში, გავლით ყოფნის დროს, როდესაც ფრონტზე მიემგზავრებოდა, ერთერთ სამხედრო ექსპერტად იყო მიწვეული იმ მასალის შემდგენად, რომელიც უნდა მოხსენებოდა იმ უალრესად საიდუმლო წრეს, ქართველ მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან რომ შესდგებოდა და საიდუმლოდ თათბირობდა: ესარგებლათ თუ არა ომი, რომ აჯანყება მოეხდინათ და საქართველოს დამოუკიდებლობა აღედგინათ? ეს ამბავი პირადად მაქვს გაგონილი იმ თათბირის ერთი წევრისაგან ნიკო ცხვედაძისაგან \*) ამ ორმოციოდე წლის წინად... ხსენებულმა გამარჯვებამ და მეტადრე იქ ქართველების სასახლო მონაწილეობამ ღრმად ჩაადიქრა ჩვენი მოძმე ქართველი მუსულმანობა და ვადაწყვეტინა, უბრძოლველად შემოერთებულიყვნენ დანაშთენ საქართველოს. საქმის ასე ბედნიერად მოთავებაში საქართველოს სამმა პროვინციამ შეიტანა თავისი წვლილი: ქართლმა (ამირე-

\*) ნიკ. ცხვედაძე ჩვენი დამსახურებული პედაგოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქართულ უნივერსიტეტის შენობის აგების ფაქტიური ხელმძღვანელი და ერთი ინიციატორთაგანი.





ჯობი), მესხეთ-სამცხემ (მუსხელიშვილი) და რაქამ (ილ. მაქარაშვილი), ე. ი. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ და სამხრეთ საქართველომ...

ამ გამარჯვების შემდეგ დადგა ხელსაყრელი დრო, რათა რუსის უმაღლეს სარდლობას პირდაპირი მოლაპარაკება დაეწყებოდა მუსხელმან ქართველების თავ-კაცებთან. ასეთ პიროვნებად, სულ პირველად, იყო ცნობილი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. მასთან და იმის თანამოაზრეებთან საიდუმლოდ მოლაპარაკება დაეკისრა ორ ქართველს: დურმიშხან ყურულუს და მიხეილ მეფისაშვილს. ამ სახიფათო მისიის ასრულების დეტალები მამაჩემს აქვს თავის დღიურში დატოვებული. იგი სავსეა დრამატიული ეპიზოდებით აღწერით: დამე, თავსხმა წვიმის დროს ცხენებით როგორ გავიდენ ადიდებულ მდინარეში, ერთ ჩახრამულ უაღაგა-აღაგას, ოსმალითის ბანაკს გვერდი როგორ აუარეს და შემდეგ ტყეში როგორ ელოდენ შერიფ-ბეგის ნიშანს მასთან უშიშრად ასასვლელად. ბეგ ხიმშიაშვილთან, რომ მივედითო, იქ ისეთი სანახაობა დავგვხდა, რომ თავს ვგრძობდით ნამდვილ ქართულ ოჯახში, ლაპარაკი ქართული, ზრდილობა მოქცევაც ჩვენებური და სხვ... შერიფ ბეგმა, სხვათა შორის, თურმე სთქვა: ჩვენი, ყველა ქართველ მუსულმანობის სურვილია, ჩვენც იქ ვიყოთ, სადაც დანაშთენი ჩვენი მოძმე ქართველები არიან, გადაეცით რუსის მთავრობას, რომ უბრძოლველად დავნებდებით, მხოლოდ ოსმალითის ჯარების თვალის ასახვევად სროლას ჰკერში დავიწყებთ. თქვენი ჯარი შეტევაზედ რომ წამოვა, ჩვენ უკან დავიხევთ, მერე ჩაგბარდებით. მაგრამ ჩვენი პირობა ასეთია: ჩვენს მხარეში უცხო ხალხი არავინ იყოს ჩასახლებული, ჩვენს რჯულზედ დარჩენა არ გვეკრძალებოდეს და რაც ჩვენ ბეგებსა და აღებს უფლებები და საკუთრება გვაქვს, უცვლელად ჩვენვე უნდა მოგვეკუთნოსო. თუ ეს პირობები რუსები-საგან არ იქნება მიღებული, ბრძოლას განვაგრძობთო. რალა თქმა უნდა რუსებმა ყველა ეს პირობები მიიღეს და სწორედ ამის შედეგად მოხდა აჭარის უსისხლო დაჭერა! რასაკვირველია, ბოლოს რუსებმა, ჩვეულებრივად აქაც დაარღვიეს თავისი პატიოსანი სიტყვა: სამუსულმანო საქართველოში უცხო ხალხიც მრავლად ჩასახლეს და ბეგებსა და აღებსაც შეუგინეს მათი ისტორიული უფლებები. მართალია ყველა ეს არ მომხდარა ერთბაშად. შიგ და შიგ ბეგსა და აღებს ზოგს გენერლის და ოფიცრის ჩინი უწყალობეს, ზოგს «ურიადნიკის» წოდება და ბევრი «ზაფთიებად» მიიღეს. რუსის მოხელეების პირველი კადრებიც მეტწილად ქართველები იყვნენ: ერისთავები, წერეთლები, მეფისაშვილები, ბეთანიშვილები, დეკანოზისშვილები და ბევრი სხვანი; მათ რიცხვში მამაჩემი და სწორედ ამის მიზეზით ჩვენი ოჯახი 1878 წ. ბათუმში დასახლდა. ამიტომ არის, რომ ზოგი რამ ამ მხარის შესახებ სიყრმიდანვე მაქვს მოსმენილი. შემდეგში მოხელეებად ქართველების მაგიერ თანდათან არაქართველები ჩააყენეს და იწყეს მოსახლეობის შევიწროება.

(დასასრული იქნება)

გ. ქუთუღი.

მ რ ო ვ ნ უ ლ ი ა ზ რ ი

და მ რ ო ვ ნ უ ლ ი ბ რ ძ ნ ო ბ ა

შეიძლება თუ არა ლაპარაკი საზღვრების შესახებ? ვფიქრობ, რომ შეიძლება და ეს თავისთავად დანაშაული არაა. თუ ისეთი მდგომარეობაა მოსალოდნელი, რომ აწინდელი საზღვრები საქართველოსი აბრკოლებენ მის განთავისუფლებას, რატომ არ უნდა გავითვალისწინოთ ეს და არ ვიმსჯელოთ, თუნდაც თეორიულ ფარგლებში, რომ უკეთესია საზღვრები უფრო შემოიზღუდოს, ან გაიშალოს, გაიწიოს არსებულ ხაზის იქით?

ვიმეორებ, შეიძლება და სრულიად აუღელვებლად და დინჯად. ხოლო მთავარია—როდის და რა პირობებში, როგორ და რა სახით მივედგებით საკითხს. და აი სწორედ ამ უკანასკნელ გაერმოებაში უნდა ვვიძიოთ უპირველესად მიხეზი იმ უკმაყოფილებისა და აღშფოთებისა, რომელიც ქართველებში გამოიწვია «კავკასის» თანამშრომლების წერილებმა საქართველოს ტერიტორიის გადამიჯნისათვის.

საქართველოს, მთელი ქართველი ერის ყურადღება, გამოუკლებლად მისი სულ მცირე იდეურ და-ჯგუფებისა, დღეს მიპყრობილია მხოლოდ და მხოლოდ რუს ოკუპანტების საწინააღმდეგო ბრძოლაზე. მისი ერთად ერთი საზრუნავი დღეს ესაა, მისთვის არ არსებობს სხვა ფორტი გარდა რუსეთისა. არსად, არც ერთს აქტში მას არ გამოუჩენია მტრული განწყობილება სხვა ვისმე მიმართ. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ყარსის ბლოშევიკური ხელშეკრულობის წინააღმდეგ განცხადებულს პროტესტს,—საქართველო ყოველნაირად იმას ცდილობს, რომ კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდეს თურქეთთან და არავითარ მონაწილეობას იღებს უკანასკნელის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლაში. ყველამ უწყის, რომ თუ სომხები გაერთიანებულ კავკასიის გარეშე დგანან—რაც ფრიად სამწუხაროა ყველა კავკასიელისთვის,—ეს იმიტომ, რომ ისინი მიათხოვენ ორ ფორტზე ბრძოლას და ეს კი ქართველობისათვის მიუღებელია. თვით «კავკასის» ქართველი მონაწილენი ადასტურებენ, რომ საქართველოს-თურქეთის საკითხი დღეს პრაქტიკულად ქართველებისთვის არ დგას, გამორიცხულია დღის წესრიგიდან.

და თუ ეს ასეა, რად გაკადნიერდა ბ. ბამატი, რომელმაც ასტეხა მთელი დავიდარება, და წამოუყენა ქართველებს მოთხოვნა—ხელი უნდა აიღოთ ყარსის ხელშეკრულობით ბლოშევიკების მიერ დამოხილ მიწა-წყალზე და თურქეთს უნდა მისცეთ ამ ადგილების გასავალი გზაც ბათუმზეო? ბამატი არ კმაყოფილდება ჩვენი ლოიალობით თურქეთის მიმართ, რომ არავითარ მტრობას არ ვამჟღავნებთ და გვინდა მხოლოდ კეთილი განწყობილება სამხრეთის მეზობლებთან,—და გვეუბნება: ჰო, მართალია, ასეთს არაფერს ამჟღავნებთ, მაგრამ თქვენი გულის სიღრმეში რალაც ფარული ზრახვები უნდა იყოს, და საჭიროა ახალი საბუთები წარმოადგინოთ!—რა ზრახვები?.. მაგრამ არ მინდა ვკითხო ბამატს—





ვინაა ის საქართველოსთვის და რაა საქართველო მისთვის—მივმართავ მხოლოდ მის ქართველ თანამოქალაქებს და ვკითხავ: როცა თქვენი წინამძღოლი გარეშე პირი და თქვენც მისი ამჟამინდელი იწვევთ კამათს, რომელსაც დღეს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია ჩვენი საქმისთვის და იწყებთ ქართველი ერის გულში ხელის ფათურს, გავიწყდებათ,—თუ არ ხედავთ, არ გრძნობთ მაინც,—რომ ჩვენს მწვავე ტკივილებს, სათუთ და ღრმა გრძნობებს ეხებით, ასე ტლანქად, დაურიდებლად?..

ვიყენებ გულანდილინ და ვთქვამთ სათქმელი დაუფარავად: ქართველის გულში არის ღრმა ჭრილობანი, მძიმე იარაღები, მწარე განცდები—გახსენებანი და წარუხმოცილი სიყვარული იმ ადგილების, ჩვენი კულტურის იმ აკვანის, რომელმაც გადაიტანა მტრის დაუსრულებელი მძლავრი დატაკებანი და თავის დადებით, უამრავ მსხვერპლით გადარჩენის საშუალება მისცა სხვა საქართველოს. ეს ადგილებია, სადაც ქართული სული და ენა ჯერ კიდევ ცოცხლობს, და რომლის შესახებ ვერასოდეს ვიტყვი თ გულცივად,—არ შეგვიძლია—რომ იქ მხოლოდ ქართული არქეოლოგიაა...

მაგრამ ამით ომს არავის ვუცხადებთ. არა, და რატომ? ვთქვამთ ესეც გულანდილად: იმიტომ, რომ არა ვართ გულუბრყვილონი და ვიცით ძალთა წონა. პატარა საქართველო ძალით თურქეთს ვერაფერს ჩამოართმევს. ჩვენი სურვილია უპირველესად, რომ თურქეთის ფარგალში მყოფმა ქართველებმა თავისი ეროვნულ-კულტურული სახე შეინარჩუნონ. სხვა ეროვნებათა შეილებიც ხომ მრავლად არიან დღეს უცხო სახელმწიფოებში დარჩენილი და მათ ეროვნულ გადაგვარებას არავინ მოითხოვს. დღევანდელი თურქეთი ხომ ძველი სულტნების დესპოტია არაა, როგორც ამას ბ. ბამატიც ამტკიცებს, და თუ იქაური ქართველები ქართველებად დარჩებიან, ეს არა-ლოიალობად არავინ უნდა მიიჩნიოს. ამასთან ერთად, თუ თურქეთ-საქართველოს საზღვრები ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, ამის მოსაწყისრიგებლად ჩვენთვის არსებობს ერთად ერთი საშუალება—მშვიდობიანი მეგობრული მოლაპარაკება.

ასეთი სასაზღვრო დავები სხვებსაც აქვთ. ასეთი დავა ჩრდილო კავკასიასაც ჰქონია და ეს ბამატს ოდიოზურად არ მიაჩნია სრულებით და ჰფიქრობს, რომ ის მეგობრულად მოგვარდება. ოღონდ საკვირველია: რატომღა დასაშვები მთიელთა და კახაკთა დავა და დაუშვებელია საქართველოს სატერიტორიო დავა თურქეთთან, რომლის გადაჭრა მშვიდობიანად ვერა შესაძლებელი? ჰკითხეს ეს ბამატს მისმა ქართველმა თანამოაზრებებმა?..

საჭიროა, საკითხი ცოტა გავაფართოვოთ და განვაგრძოთ გულანდილობა: ჩვენ არაფერი გვაქვს დასამალავი. ერთხელ კიდევ ვიტყვი: თურქეთის მიმართ ქართველი ერის მოქმედება ყოვლად ლოიალურია და ვერც ერთი მიუდგომელი ადამიანი აქ მის პოლიტიკას წუნს ვერ დასდებს. ბ. ბამატისთვისაა ეს მხოლოდ ცოტა და ახალს მსხვერპლებს გვთხოვს, რომ ამით სამუდამოდ მოვიგოთ თურქეთის მეგობრობა და უზრუნველვკყოთ კავკასიის დამოუკიდებ-

ბელი არსებობა. შეიძლება მსხვერპლზე ლაპარაკი რატომაც არა (ნამეტურ როცა ეს მსხვერპლი სხვის ხარჯზეა), და მოკამათეს დავეთანხმოთ ერთს წუთს, ხოლო გვითხრას: მსხვერპლი ნაყოფს მოიტანს? «კავკასი» კავკასიის ერთობის და მისი დამოუკიდებლობის ჩემპიონობას ჩემულობს და თან ირანს და განსაკუთრებით თურქეთს არწმუნებს, რომ თავისუფალი კავკასიის ბუფერი—სახელმწიფო მათ დაცვას მომავალ რუსეთის თავდასხმებისაგან. ჩვენც ვითომც ჭკუას გვასწავლის და თითქოს რაღაც ახალს გვეუბნება. ოჰ, ბამატი რომ ქართულ აზროვნებას ოდნავად მაინც იცნობდეს, ეცოდინებოდა, რომ ქართველებმა დიდი ხანია ეს უკვე გაშაბლონებული, აზრები დაღუპეს და გადაღუპეს, და თუ კავკასიის ერთობას გულწრფელად იცავენ და მუშაობენ ამისთვის უფრო მონდომებულად, ვიდრე სხვა რომელიმე კავკასიელი ერი,—ისინი ამასთან არ არიან იმდენად უფიცნი, რომ ნათლად არ ხედავდნენ ამ ერთობის წინამდევ აღმართულ საშინარ და ნამეტურ საგარეო დაბრკოლებებს. ბ. ბამატი იდილიურ სურათს უხატავს თურქეთს იმისას, თუ რა ბედნიერება იქნება მისთვის რუსეთის შესაჩერებლად აღმართული ჯებირი—დამოუკიდებელი კავკასია. მისაღებია ეს თურქეთისთვის? არ ვიცით. თვითონ «კავკასში» იყო დაბეჭდილი ერთი უცხოელის (კავკასიელთა მეგობრის) წერილი, თავის დასკვნებით, რომ «თურქეთის სასიცოცხლო ინტერესებისაფის ყველაზე უფრო სახიფათო პუნქტი არის კავკასია. მხოლოდ კავკასიონის მწვერვალებიდან შეიძლება წარმატებით თურქეთის დაცვა და არა არტანისა და იგდირიდან». შეიძლება, თურქეთიც ასე ფიქრობს და აქედან საკუთარს დასკვნებს აკეთებს. სამ საუკუნე. მეტს ირანი და თურქეთი თავს აკლავდნენ ერთმანეთს კავკასიაში, ნამეტურ ამის გულში—საქართველოში გასაბატონებლად, და საქართველოც ამის გამო განაწამები იყო, და რომელს პასუხისმგებელ ადამიანს შეუძლია დღეს, სთქვას, რომ თუ ხელსაყრელი საერთაშორისო სიტუაცია შეიქმნა (ხაზს ვუსვამთ ამას), თურქეთი—თუნდაც დღეს ფრიად გამომცველი და დაწინაურებული (ბამატის კონცეპციით)—არ იფიქრებს მთელი კავკასიის დაკავებას? ჩვენ ამის გარანტიას არ მოვითხოვთ, რადგან ვიცით, რომ ამგვარი გარანტიის მოცემა არავის შეუძლია,—ბამატისას არ მოგახსენებთ (რა ფასი აქვს!),—თვით თურქეთის ხელმძღვანელებსაც. მაშასადამე რაღაც მსხვერპლზეც ლაპარაკი ცალიერი ლაყობაა და ოღონდაც ფანტაზია!

საქართველოს საზღვრების საკითხი ძალიან სათუთი არისთქვა, ვამბობ, და როგორ არ იქნება როცა შიგ ამდენი მწვავე და მტკივნეული ფიქრია ჩაქსოვილი! მაგრამ ამას, შედარებით, კიდევ გავუძლებდით, რომ ჩვენი ტერიტორიის ჯიჯგნა მართო ერთის მხრით ხდებოდეს. უბედურება ისაა, რომ ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს სხვებიც ეპოტინებიან, სხვა მხრიდანაც. ოკუპაციის შემდეგ უკვე ტერიტორიის მოზრდილი ნაჭერი ახლო მეზობლებს დაეთმო. მოგვხსენებთ ჯავახეთის და სხვა ადგი-



ლების მოთხოვნა სომხების მიერ<sup>\*)</sup>. ჩრდილო კავკასია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის თავისთვის მითვლას ჰფიქრობს, ეს ბამატის წერილებიდანა სჩანს. ამას მიუმატეთ პრეტენზიები თურქეთის და სხვების სასარგებლოდ და მაშინ ძალაუნებურად იბადება კითხვა: რაღა უნდა დარჩეს ასე შემოძარცულ საქართველოსაგან და ნუ თუ ქართველი ერთ მხოლოდ სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში შეიბუღოს?

ტერიტორიას ხომ გვედავებიან და გვართმევენ, არც თუ ისტორიას გვიტოვებენ და მის წაშლასა და დაეიწყებას მოითხოვენ. ზოგს ჩვენგანს ახსოვს კარგად, თუ რა აღშფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში, ძველი რუსეთის დროს, ერთი რუსის რეაქციონერის წერილმა, რომ უმჯობესია ქართველებმა თავისი ნაციონალური დროშა მუზეუმში შეინახონ. დღეს ბ. ბამატი, არა რუსი, არამედ ჩვენსავით დანაგრეული ერის შვილი, აბუჩად იგდებს ქართველი ერის ისტორიულ მოგონებებს და განცდებს და გვირჩევს «საარქივო» და «საარქეოლოგიო» დოკუმენტები და «ნაპოვნები» (ეს ჩვენი სისხლით დაწერილი ისტორია!) მუზეუმის ვიტრინებში გამოვადინოთ. ასე ამბობს ბამატი და მას კვერს უკრავენ ქართველი ბამატისტები, რომელთაც ყური გამოგვიჭედეს იმის ყვირილით, რომ არ უნდათ «რეალობას და «სინამდვილეს» დაშორდნენ და ებრძვიან ფანტასტიურ გვეგებს» (?).

მაგრამ ესეთი სიტყვები ხომ პირველად არ გვესმის და ვიცნობთ ამას უფრო გარკვეული, გამოცხადებული სახით. ეს იყო: როცა რამდენიმე ათეული წლის წინად მამულიშვილები ერის ასაღორძინებლად და მის უფლების აღსადგენად მუშაობდნენ, ზოგს განზე გამდგარს ეს ფანტაზიის ნაყოფად და რეალობას დაშორებულ საქმედ მიაჩნდა. არის დღესაც: მოიპოვებიან ქართველები, რომელთაც არ სჯერათ საქართველოს რუსის ოკუპანტებისაგან განთავისუფლება. მერე რა? დავუჯეროთ ასეთებს და გავყვეთ მათ, ხელი ავიღოთ ბრძოლაზე?..

დასასრულ, ქართველ წრეების აღშფოთებაში, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე ეს გამოჩნდა სადმე კრებაზე ან პრესაში, არა მცირედი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ საზღვრების საკითხის გამწვავების და «კავკაზის» მთელი კამპანიის მეთაურად გამოვიდა ბამატი. ეს უკანასკნელი რომ უფრო გონიერი ყოფილიყო, არასოდეს მისცემდა თავის თავს ჩვენს მწვავე საკითხებში ჩარევის ნებას. და თუ მან ეს ინება, რატომ ამოუდგენს მას გვერდში ქართველები და გაიხადეს ის წინამძღოლად ქართულ საქმეების საქეჟად უცხო ენაზე! ვინ არის ბ. ბამატი, კეთილი თუ ბოროტი სული? არ ვიცი. უფრო სასიამოვნოა, კაცზე კარგი იფიქრო, ვიდრე ცუდი, და ვთქვათ, რომ კეთილი სულია. მაგრამ რა გავგე-

\*) უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველებისთვის კავკასიელების შინაურ საზღვრებზე ლაპარაკი დღეს, ვიდრე ოკუპაცია არსებობს, პრინციპიალურად შეუძლებელია.

ბა მას ჩვენი სატიკერის და ნალველის, ჩვენი აზრის და გრძობის, ჩვენი წარსულის და აწმყოსი! ნუ თუ ქართული აზროვნება, რომელსაც უკვე ხანგრძლივი თავგადასავალი აქვს და საკმაოდ მომწიფებულია, ისე დაეცა ამ ემიგრაციაში, რომ რომელიმე ჩვენმა დაჯგუფებამ უცხოს გარშემო მოიყაროს თავი და მისი წინამძღოლობით ებრძოლოს სხვა ქართველს დაჯგუფებებს? მიუღებელია.

უქმია ეროვნული აზრი, თუ მას თან არ სდევს და არ ზომავს მუდამ ეროვნული გრძობა.

ს. ლიტვინაძე.

ი ლ ი ა

მაგრამ ყველაზე ძლიერად და გავლენის მოხდენით გაისმოდა ხმა იმ ორი დიდი ქართველისა, რომლებმაც წარუშლელი დაღი დაასვეს მთელ ეპოქას და სამარადისო ძველი დაიდგეს ქართველი ხალხის გულში:—აკაკის და ილიასი.

პირველი ჰგრძობდა და უგალობდა გაზაფხულის მომყვანს—«მერცხალს»,—«ეძებდა გმირებს», წინასწარმეტყველებდა,—მეორე ჰფიქრობდა «ქართლის ბედზე» და იცოდა, რომ «გოლიათი გონიერებისა» თავის ძლიერის მკლავით გადაწვდებდა მთელს ცხოვრების ნამუშევარსა, შემოაგროვებს, რაც ცხოვრებას გამოუჩენია, ... ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა» მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისათვის შესაფერი დრო დადგება, ე. ი. მაშინ, როდესაც ძველში ჩასახული ახალი ელემენტი სხვებისათვის შეუჩინებლად ამოჰყოფს ხოლმე თავსა.—და არასდროს შეჰპარვია ილია ჭავჭავაძეს იქვი ახალის გამარჯვებაში, რადგან მას ესმოდა, რომ ყველაფერი როგორც ბუნების ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში განუწყვეტლივ მოძრაობაში. წინსვლაში, ცვლილებაშია:—ძველს მუდმივ ახალი სცვლის, მისგანვე წარმოშობილი.—განახლება საქართველოს საზოგადოებრივი, ეროვნული არსებობაც, რადგან მასში ძლიერი სასიცოცხლო ძალები იმალებიან, მისი დიდი წარსულით გამაგრებულნი;—ქართველობა არ არის განწირული სასიკვდილოდ, გასაქრობად. უკვე აღმოცდა კვირტი განახლებისა და ის ნიადაგის გაპოხიერებას, ზნის გაკაფვას ითხოვს გასაზრდელად, გასაფორმებლად. დაიბადა ახალი აზრიც, ჩამოისხა ახალი სიტყვა და მისი დაკავება აღარაფერს შეუძლია, რადგან კვირტი, «ცხოვრება-ძირია, აზრი, ხელოვნება, მეცნიერება მასზე ამოსული შტოები არიან», რომელნიც იისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს»-ა. სიცოცხლის ასეთ სვლას ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა (უგუნურობა და უვიცობა შეაფერებენ, რასაკვირველია), რადგან ის ცხოვრების კანონია, რომელსაც ბუნებაც ემორჩილება და საზოგადოებაც.

დიახ, საქართველოს ცუდ სინამდვილეში მწე-





რალმა-მოაზროვნემ საიმედო და სანუგეშოც ბევრი დაინახა.—კაკო, გაბრო, მოხვეე—აქ იგრძნო და იცნო ილიამ ნამდვილი ტანჯვა და ფიქრი ერისა.

«რას ვჰქენე ცარიალ მშვიდაბას ცარიელ სტეპ-მაქით. რაი არ მშვიდაბა? უხმარ სატევარს უხეგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყყინი, ჭია-ჭული, ქვემძრომი გამრავლდის»-ო. ამ სიტყვებში ხალხის ხმა ესმა მგოსანს,—იმ ხალხის, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში თავისი მიწა-წყალი, თავისი კულტურა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე სასოწარ-კვეთილებით დაიცვა და მტერს არ დაანება. ერის გულში აღმოკითხულმა მას ფრთა შეასხა:—«ქართვის ძილში» აღმომხდარ «კვენსას» დაეყრდნო «თერგდალეული» და «ღრმად გათხრილ, სამარეში დამარხული» ანდერძი მისი შვილისა, ესლა ერის «გასაღვიძებლად» გაცოცხლებული, გადაუშალა მან ძლიერ, ჩამოსხმულ ახალ სიტყვაში დამბლა-დაცემულ ქართველ საზოგადოებას.

«ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და ზაფხული, როგორც ბუნებასა... მარტოს საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვი შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძული... თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა,—მხოლოდ ამ კანონსა გავება უნდა, გამოჩენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაჩეროს... «აწმეო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა»-ო. და ამ წარსულიდან მომდინარე აწმეოს, რომელმაც თავის მხრივ ნიადაგი უნდა მოუშუადოს მომავალს, საქართველოში ახალი ცხოვრების «აღმოშობის» გაადვილებას და განმტკიცებას მონადრმა ილია ჭავჭავაძემ თავისი ორმოცდაათი წლის მოღვაწეობა,—თავისი ფიქრი, როგორც მგოსანმა, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწემ. საგანი ამ ფიქრისა იყო: «ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან».—«ჩვენ თავს უნდა ვეყუდნეთ»,—ე. ი. საქართველოს განთავისუფლება.

ეს დიდი მიზანი დიდსა და ხანგრძლივ მუშაობას ითხოვს უპირველეს ყოვლისა თვით ერში მის მთლიანობისათვის. თავის თავზე დაყრდნობა შეუძლია მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც უყვარს და ესმის თავისი წარსული, ერკვევა აწმეოში, ეტრფის მომავალს,—აქვს თავმოყვარეობა, დამყარებული მტკიცე ეროვნულ შეგნებაზე და ნებაზე და ამისათვის იბრძვის.

მაგრამ მთელი უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ დაკარგულია ეროვნული თავმოყვარეობა, მდგომარეობის შეგნება და ნება მოქმედებისა. და წინდემტია საქართველოს მთლიანობაზე ლაპარაკი:—მისი ორგანიზმი შუა გააბობილა, დაავადებული პოლიტიკურად და სოციალურად. ავადმყოფის განკურნება მთელი ქართველი ხალხის ენერჯის დაჭიმვას ითხოვს. მაგრამ სად არის ის ქართველი, ის ქართველობა, რომელიც ამ დიად მისიის აღსრულებას იკისრებს, შესძლებს?! «ჩვენ ისიც კი დავივიწყეთ,—ვინა ვართ და რანი ვართ... საგანი ცხოვრე-

ბისა დავკარგეთ... აქამდე ჭკუა-გონებას, სულსა და გულსა აღარა ჰქონდა მიხეზი ფრთა გაეშალა... შეგუბდა და გაჩერდა ცხოვრება» —ამბობს მწარედ მწერალი. ერთი ნაწილი ერისა, ეგრედ წოდებული «მოწინავე და შეგნებული», შერიგებია რუს მთავრობის მიერ შექმნილ და განმტკიცებულ მდგომარეობას, უზრუნველყოფილ პირად ცხოვრებისათვის მიუჰყვია ხელი და დაკმაყოფილებულა, მომხდურს გუნდრუქს უქმევს, მორჩილად ემსახურება, თავისი ვინაობა თბილ ადგილში გაუცვლია, ეროვნული სინიღისი ჩინ-არდენებში, ბატონის სურვილები თავისად გაუხდია, მის მონად გამხდარა. მეორე ნაწილი კი, ერის მკვებავი, მშრომელი ხალხი ბატონ-ყმობისა და მისი შედეგების მთელ საშინელებას იტანს, უმაგალითოდ დამცირებას განიცდის, უმძიმეს ტანჯვას, რომელიც ანადგურებს მის ოჯახს, ანიავებს მის ქონებას, თუ ასეთი გააჩნია, სპობს მის ადამიანურ ღირსებას.

მონას არ შეუძლია შეგნებით თავისუფლებისათვის ბრძოლა. ვინაობის აღდგენისათვის ბრძოლას თავისუფალი, დამოუკიდებელი ადამიანი ესაუპირდება, სამშობლო მიწასთან მტკიცედ დაკავშირებული, თავის მარჯვენაზე დაყრდნობილი მშრომელი და საქართველო გლეხობის, გუთნის ქვეყანააო.—ამიტომ, ვისაც უყვარს თავისი მშობელი ერი, ვისაც უნდა ის თლიანი დაინახოს გარეშე მტერთან ბრძოლაში, მან უწინარეს ყოვლისა ბატონ-ყმობისა და მისი ნაშთების სრული მოსპობა უნდა მოითხოვოს, როგორც პირველი საფეხური სოციალ-თავისუფლებისა. ერის და შრომის განთავისუფლება დასწერა თავის დროშაზე ახალგაზდა ილია ჭავჭავაძემ;—მის მხატვრულ წარმოდგენაში ვიზიონური სურათი გაიშალა: კაკო და გაბრომ ერთგული ხელი გაუწოდეს მოხვევს.—«ჩვენ თავს უნდა ვეყუდნეთ» გადაეჭდა «შრომის სუფევას» და გაერთიანება, სინტეზი «აჩრდილში» დასრულდა. და რადგან თავისუფლება ადამიანთა დამაკავშირებელი, დამაახლოვებელი ცნება და მოვლენაა, ამიტომ ქართველმა მწერალმა და მოაზროვნემ თავის მოთხოვნისას ერთა შორის დამოკიდებულების ხასიათი მისცა, საერთო პრინციპის საგნად გაჰხადა.—ერის, ადამიანის ჯანსაღ არსებობის საძირკველს მისი ეკონომიური სიძლიერე წარმოადგენს და მას მხოლოდ თავისუფალი შრომა შეჰქმნისო.—ის «ტვირთი არის ძლევა მოსილის ამ საუკუნის», რომლის «ახსნისათვის მედგრად იბრძვის კაცთა ლეღვისა დიადი ზვირთი»;—ამასვე ითხოვს ილიაც და სწამს, რომ

«დამისხვრევა იგი ბორკილი, შემფერხებელი კაცთა ცხოვრების, და ახალს ნერგზედ ახლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების... შრომის სუფევა მოვა მაშინა ჭეშმარიტების მის ძლიერებით და განმტკიცდება სოფელსა შინა კაცთმოყვარების სახიერებით»—და მაშინ... უქმ სიტყვად არ იქნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლება,



ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმაცვარება და სათნოება»-ო.

და როდესაც ჩვენს მგოსანს, თუნდაც შორიდან, «ხალხთ ბორკილის ხმა მტკრავისა, სიმართლის ხმა მოესმის», მას ის ხმა «ალიტაცებს, უღვიძებს იმედს გულში» და უნდა «ეს ხმა ტკბილი» გაიგონოს მის მამულშიც. მაგრამ თუ დიდი საქმე «ძლევამოსილის ამ საუკუნის» ბრძოლაში მარცხდება და მიზანს ვერ აღწევს, მწერალი-მოქალაქე მწარედ განიცდის ამ ამბავს და გაიძახის:

«ტვით-მძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა დაიშალა...»

კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ იგი დროშა დასცა დაბლა»-ო.

ღიახ, მონა, ყმა პიროვნებად უნდა იქცეს, ადამიანის ღირსება უნდა დაუბრუნდეს მას. მშრომელი—უერთგულესი და უსაჭიროესი ნაწილი ერისა—უნდა განთავისუფლდეს!-ო—დაიძახა ილიამ;—ამას იხსოვვენ ისტორიულ საზოგადოებრივი პირობები და სწორად გაგებულნი ეროვნული ინტერესები ო,—და «რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ხელში ილია ჭავჭავაძეს»-ო ამბობს თვითონაც «თერგდალეული» ნ. ნიკოლაძე.

ჩვენ ვიცით, როგორ ესმოდა ილიას მშრომელის განთავისუფლება.—«საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს: ერთი პირადი, მეორე ზოგადი, რადგან იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის არსებობისათვის, რომ ნამაგარი შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვის, რომ შესაძლოდ და დღევარდელად ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა... რომელი ერთი გინდა აიღოთ მთელ ქვეყნიერებაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და იღვევს დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ და ან მეორე... პირადი ელემენტის გამრავლება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელი თავისი სასტიკობით ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონ-ყმობა, ე. ი. იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებათა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობა დაუდებელი და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა რა, გარდა ცალკე კაცის პირადი კეთილდღეობისა... თუ გადამეტებული გაუფლება საკუთრების პირადი ელემენტისა გამოისახა ბატონ-ყმობაში, ზოგადმა ელემენტმა თავისი ადგილი და ბინა მოიპოვა ხიზნობაში»-ო—სწერდა ჩვენი «თერგდალეული» და აშკარადჰყოფდა, რომ მთელ მაშინდელ ახალგაზრდასთან ერთად, რომლის ფაქტიური მედროშეც ის იყო, საზოგადოებრივ საკუთრების დამცველად გამოდიოდა იმ დროის გაგებით.

(შემდეგი იქნება)

მ.—მე.

რუსთაველის ღმრთაველი პაიუზი

კვირას, 30 იანვარს, გეოგრ. საზ-ის დარბაზში გაიმართა რუსთაველის ქართული ღმრთაველი, რომელსაც დაეწერა დიდძალი საზოგადოება. დარბაზის ესტრადას ამშვენებდა შოთას მშვენიერი სურათი, ყვეალიებით შემკობილი. კრება გახსნა ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. გვახაზამ დღეობის დიადი მნიშვნელობის აღნიშვნით, რის შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს ს. ფირცხალავამ (საქართველოს საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა მე-12 ს. ბოლოს), რ. არსენიძემ (რუსთაველი და მისი წიგნი), ალ. მანველი შვილმა (რუსთაველის მსოფლმხედველობა) და გ. გვახაზამ (რუსთაველი და მისი შემოქმედება).

ს. ფირცხალავას მოხსენება: საქართველოს მაშინდელი ტერიტორია ორჯულ მეტი იყო, ვიდრე დღევანდელი საქართველოა და მისგან დამოკიდებული იყო გარდა ამისა რამდენიმე ვასალური სამეფო. ვინ იყვნენ საქართველოს ახლობელი და შორეული მეზობლები ჩრდილოეთით და სამხრეთით? რას წარმოადგენდა საერთოდ მაშინდელი სამყარო—აღმოსავლეთი და დასავლეთი? თურქ სელჩუკების მოვლენა და მათი დამარცხებული როლი ბიზანტიურ ქრისტიანულ და არაბულ ისლამურ კულტურებისთვის. საქართველო როგორც შეუდრეკელი მეზობელი თურქების წინააღმდეგ და მისი საბოლოო გამარჯვება. საქართველოს მიწა-წყლის გაწმენდა გარეშე მტრებისაგან თან სდევს მისი ყველა ნაწილის გაერთიანება და ფეოდალების ალაგმვა და ერთ ხელმწიფობის დამყარება. სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ზრდა: ჯარი, სამართველო აპარატი, ვაჭრობა-წარმოების განვითარება. განათლება, ხელოვნება, მწერლობა. ორი სამყაროს—აღმოსავლეთის და დასავლეთის—შეხვედრა საქართველოში, ეს შორეული ამბავი იყო და არ მომხდარა მარტო მე 12 ს-ში. ვინაა თვით ქართველი ერთი? სარწმუნოებრივი ტოლერობა, ძმობა-მეგობრობის ინსტიტუტი და ქალის კულტი, როგორც მაგალითები ეროვნული თვისების. თამარ მეფის პიროვნების დახასიათება.

რ. არსენიძის მოხსენება (რუსთაველი და მისი წიგნი): არსებობს ორი ვერსია შოთას ბიოგრაფიის. ერთი მწიგნობრული, მეორე ხალხური. მემბტიანემ არავითარი ცნობა არ შეგვიჩინა. ამიტომ მწიგნობრული ბიოგრაფიაც სპეკულიატურ დასკვნებს და ფანტაზიას ეყრდნობა. იგი სარგებლობს სხვადასხვა იმ ხანის საბუთებში ნახსენებ შოთას სახელს. ამ ნიადაგზე ს. ინგოროყვა ჰფიქრობს, რომ შოთა იყო ჰერეთის დიდი მთავარი ბაგრატიონთა გვარის, შვილი გრიგოლის. ეჭირა ჟინვანის თემი, რასაც მოწმობს ერთი გუჯარის ხელმოწერა, შემდეგ ალბად მიიღო რუსთავი (ჰერეთის) და სახელი რუსთველი. თამარის შემდეგ, მისი მემკვიდრეების ხანაში ვხედავთ შოთას ჰერეთის ერისთავს, რომელიც სახელმწიფო საქმეებში იღებს დიდ მონაწილეობას. კოტისთავის ცნობილ შეთქმულებაშიც მონა-





წილებს. გადაცვლილი უნდა იყოს ღრმა მოხუცებულობაში. ეს შოთა უნდა იყოს დაბადებული დაახლოებით 1169-70 წლებში. 23 წლის მიღებულ იქნა და დალოცვილი მეფის კარზე. ვ. ტყაოსანი დაწერილია 1196-1207 წლის შუა, რაც სჩანს თვით წიგნის შინაარსის განხილვიდან. ეს დატები ისტორიულად შესაძლებელ სიმართლეს უახლოვდება. მაგრამ რომ ჰერეთის შოთა იყო ჩვენი შოთა რუსთაველი. ამის საბუთი კი არ სჩანს.

ხალხური თქმულება მის სამშობლო ადგილად სთვლის მესხეთის სოფელ რუსთავს. ხალხური გამოცემანი მოგვითხრობენ შოთას დაბადების ჩარჩანელთა თუ ჩახრახელთა გვარეულობაში. რომელიც განთქმული იყო მწერლობაში, შოთას ცხოვრების ლამაზ და დრამატიულ რომანებს, თამარის ბრძანებით სატრფოს მიტოვებას და სხვა დიდებულის ქალის შერთვას, სატრფო ქალის მიერ თავის მოკვლას, ძალად შერთული ცოლის დალატს, შოთას გვდაკარგვას. ამ ლეგენდებით შოთა და მისი ძმა ორივე პოეტები იყვნენ, განათლება მიიღეს ჯერ მესხეთში, შემდეგ იყალთოში და ბოლოს ბიზანტიაში. უფროსი ძმა თამარზე სამიჯნურო ლექსების თქმისათვის იქნა ვაძევებული და არაბეთში წავიდა. შოთა კი დარჩა ტფილისში და დასწერა ვეფხის ტყაოსანი, რომელიც თამარს მიართვა ძღვნად...

უდავოთ გადაჭრა საკითხის, ამ მასალებით, ცხადია არ შეიძლება, მაგრამ «ხმა ღვთისა და ხმა ერისა»-ა ამბობს ხალხი და ხალხურ თქმულებაში უფრო უნდა იყოს ისტორიული სინამდვილის ანარეკლი.

არა ნაკლებ საყურადღებო თავგადასავალი აქვს თვით პოემა «ვ. ტყაოსანს». იგი ეკლესიისგან დევნილი იყო, როგორც არაქრისტიანული, «არა იტყვის სამებასა ერთარსულად». ეკლესიისაგან შერაცხილ იყო ბილწებად, რომელმა წარყვანა ქრისტიანობა. ამიტომ მას არა თუ არ იკარებდნენ და არ იხანავდნენ, პირიქით, წევადენ და წყალში ყრიდნენ თვით მე-18 საუკუნეშიც ანტონ კათალიკოსმა 80-მდე დაბეჭდილი ვ. ტყაოსანი დააგროვა და გადაყარა მტკვარში.

მაგრამ ეს «პოემა» იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა ხალხზე, რომ ის მანაც საყვარელ წიგნად გახდა ყველა საერო წოდების პირთათვის. მეფენი, თავადნი მის გადაწერაზე ხარჯს არ ერიდებოდნენ. გლენცი ხშირად ზეპირად სწავლობდნენ. «ვეფხის ტყაოსანი» საოჯახო სამკაული შეიქნა, სამხითვო განათხივრათვის... ამან გადაარჩინა იგი შემოსვის, ახრების და განადგურების ყველა უბედურებებს, რაც საქართველოს დაატყდა თავს ამ 5-6 საუკუნის განმავლობაში. დღეს მისი რამდენიმე ათეული სხვადასხვა ხელნაწერი მოიპოვება. სამაგიეროდ ეს მოყვარულნი, ხშირათ თავის ლექსებსაც ურევდნენ შოთას ნაწარმოებში. ცდილობდნენ შეესებინებინათ, დათავებინათ, ხან შეკამათებინათ და ამით «პოემას» გაუჩინა ყალბი ადგილები, რის ჩამოშორება ერთგულ ვახტანგ მეფემ თავის დაბეჭდილ გამოცემაში უკვე სცადა. ეს იყო პირველი რედაქცია პოემის, დღეს საქართველოში მეცნიერთა მთელი კოლეგია

ამუშავებს ძველი ხელნაწერების მიხედვით საბოლოო ტექსტს. ვ. ტყაოსანი დაბეჭდილი სახით გვევლინება სტაბის პირველ გაჩენისთანავე 1712 წელს. შემდეგ 1843 წლიდან მოყოლებული დღემდე გამოვიდა არა ნაკლებ 30-35 გამოცემისა...

არსებობს მრავალი ხალხური ვეფხის ტყაოსანიც «ტარიელიანი» და სხვ. სახელწოდებით ლექსად და პროზად. დღემდე გაურკვეველია, ხალხმა გადაიტანა თავის შემოქმედებაში ვ. ტყაოსნის სიუჟეტი, თუ რუსთაველმა ისარგებლა ხალხური შემოქმედებით. ორივე შემთხვევაში ერთი ცხადია: მათი იდენტურობა, ერთიგეობა, და ამით შოთა ხალხის სიბრძნეს უდრის, ხალხი შოთას სწვდება. ეს უტყუარი ნიშანია შოთას გენიალობის.

საინტერესოა ამ იუბილეს ისტორიაც. ჯერ კიდევ 1912 წელს, თამარ მეფის გადაცვალების 700 წლ. თავზე იყო განზრახული ქართველ საზოგადოებაში შოთას ძეგლის აგება. ოდესის ქართველმა სტუდენტობამ და მუშებმა მოწოდებით მიმართეს საზოგადოებას. მწერალმა ალ. ყანჩელმა უშუამდგომლობაც აღძრა, ფულის გროვებაც დაიწყო, მაგრამ ამოდ. ჯერ მეფის ბიუროკრატიის წინააღმდეგობამ, შემდეგ ომმა ჩააქრო ეს ინიციატივა. მაგრამ 1934 წელს, მოულოდნელად, შოთას სურათი და პოემა შეიკრას. ს. ს. რ. კავშირის მწერალთა ყრილობაზე კრებულში, და ეს მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურ წრეებში ამ ხნობამდე შოთა მიჩნეული იყო, როგორც მოძველებული და ფეოდალობის მომდერალი.

მასობრივ დაიბადა იდეა შოთას იუბილეს გადაცემა. მისი დაბადების 750 წლის თავის სახელწოდებით. ნამდვილად კი შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ 1934 წელი არის 750 წლისთავი თამარის გამეფების, შოთას კი ამდროს ალბად პირველად მზის სწორის მეფე ქალის ხილვით აღტაცებულს მოუვიდა შთაგონება დიდებული «პოემის» შექმნის, რომელიც უკვდავი ძეგლია და სამარადისო დროშა ქართველი ხალხის. იგი მოწმობს მისი წარსულის სიდიადეს და მომავლის იმედს.

ალ. მანველიშვილის მოხსენება (რუსთაველის მსოფლმხედველობა): ამ ქვეყანას რუსთაველი იხილავს უნივერსალობის თვალსაზრისით. ადამიანის არსებობა არის დროული, წუთიერი. ამიტომ ამ ქვეყანას «საწუთროს» უწოდებს. რადგან ის არის დროებითი და ისიც აღსავსე ათასნაირი ტანჯვითა და უბედურებით, უსარგებლოა იქ ყოფნაც. საწუთროს ანალიზს პოეტი მიჰყავს მის სრულ უარყოფამდე...

მაგრამ პოეტი მალე იგრძნობს იმ აუტანელ ხვედრს, რაც ამით მოეღობს. ხედავს, რომ თუმცა ამ ქვეყნად ცხოვრება წარმავალია, სივერაგითა და ცბიერებით შემკული, მაგრამ სიკვდილითაც სამუდამოდ ჰქრება მისი ინდივიდუალობის კვალი. ღრმად ჩაუფიქრდება ამ სინამდვილეს და ეძიებს გამოსავალს. მისი ამაყი პიროვნება ვერ ურიგდება სიკვდილს. სწყურია უკვდავება. ეს არის საგანი მისი ტრადიციის. მას უნდა იყოს ამ ქვეყნად უკვდავი. მაგრამ მწარე მატერიალური სინამდვილე ამის საბუთს არ აძლევს. ვერც საიქიო ცხოვრებით კმაყოფილება.





დაბოლოს გამონახავს მესამე გზას. ეს არის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა უკვდავებას. ადამიანი ფიზიკურად კვდება, მაგრამ შეუძლია სხვა ფორმით განაგრძოს აქ სამარადისო არსებობა. ეს არის სახელი. მრავალ საგმირო საქმით, ვაცემით, წყაღებით, მონათა თავისუფლებით, მამულისათვის თავგანწირვით უნდა დასტოვოს კეთილი კვალი და ამით მი აღწევს უკვდავ არსებობას შთამომავლობის ხსენებაში.

პოეტი ამითაც ვერ კმაყოფილდება. მიწიერ სამყაროშიც სწყურია ბედნიერება. ამ ბედნიერების წყაროს ის ნივთიერი ცხვრების ვერც ერთ ფორმაში ვერ ხედავს. რადგან ადამიანი ისეთი ბუნებისაა, რომ მისწრაფების საგანი მას იმდენად იზიდავს, რამდენადაც არის მიუღწეველი. როგორც კი ამა თუ იმ მიზანს ანხორციელებს, მას ეკარგება მნიშვნელობა, «მით რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს არ მამინდებისა».

მასასადამე ბედნიერების განცდა მიზნისადმი მისწრაფების თვით პროცესთან არის დაკავშირებული და არა შედეგთან. უმაღლესი ღირებულება უმაღლესი მშვენიერება თვით პროცესია. აქედან იბადება მოქმედების ფილოსოფია. მოქმედება და მარად მოქმედება, ბრძოლა და შეურიგებლობა ბრძოლა ბედნიერების მოსაპოებლად. ხოლო ბრძოლის ეს პროცესია თავისთავად ბედნიერება. აქედან ვხედავთ, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობა არის იგივე ქართველი ერის ფილოსოფია.

ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში შეურიგებელი ბრძოლა აწარმოვა უამრავ მტერთა წინააღმდეგ. საამისო ჯილდოდ კი მან მიიღო თავისი უკვდავი ერთგული არსებობა. მართლაც წარმოუდგენელი შეიქმნა ქართველი ერისათვის ნეტარება ბრძოლის და შეურიგებლობის გარეშე. ამიტომ მან შექმნა ბრძოლის კულტი. რუსთაველი ქართველი ერის გაუტყუავი სულის განსახიერებაა. მისი პოემა არის მომხიბლავი ჰიმნი ქართველი ერის ბრძოლის კულტისა.

გ. გვაზავას მოხსენება სავსებით იბეჭდება «დამ. საქარ.» ამავე ნუმერში.

მოხსენების შემდეგ ს. ბერეჟიანმა მოხდენილად წაიკითხა ვ. ტყაოსნიდან ნაწყვეტი «წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისას» და ი. გრიშაშვილის ლექსი რუსთაველზე.

დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა მომხსენებლები და დღესასწაულმა ყველაზე მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა.



სორბონის უნივერსიტეტის დიდს დარბაზში

**რუსთაველის დღეობა**

მოეწყობა 30 მარტს.



«დამ. საქარ.» ს ამ ნუმერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ შოთა რუსთაველის სურათი.

**წერილი აშერიკიდან**

ამ ახალი წლის დასაწყისში ორი მეტად სამწუხარო ცნობა მიიღო აქაურ ქართველობამ: სიმონ მდივნის გარდაცვალება და საქართველოს ტერიტორიის ზოგიერთების მიერ გაჩუქების მონდომება.

ორივე ცნობამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც არ იყო ქართველი, რომ არ დაღონებულიყო სისიკოს დაკარგვით, ისე არ იყო ქართველი, რომელი არ აღშფოთებული იყო საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შეხებით.

ეს ორი ამბავი სხვადასხვა ზომისა, სხვადასხვა თვისების აქ მყოფთა ცნებაში ერთმანეთზე გადაიჯაჭვა, თითქო ერთ ამბავად იქცა. ყველას გვაწუხებდა და გვაოცებდა: რად დასჭირდათ ჩვენს მთიელ მეზობლებს ასეთი მწვავე კითხვის გამოტანა და საქართველოს საზიანოდ მისი ქადაგება.

გასაკვირი არ იყო, რომ რუსეთი, მუდამ კავკასიის ერების მტერი, მათი ტერიტორიით სხვას იმაღლიერებდა, მაგრამ მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო, რომ ვინმე შინაური, კავკასიელი, საქართველო თურქეთის კითხვას დააყენებდა.

ოკუპანტი ვინც არ იყო, ჩვენი მტერია. მეზობელი კი პატივსაცემი და სამეგობროა. დამოუკიდებელს, თავის ნების საქართველოს შეუძლია თავის დროზე თავის საქმის მოგვარება და მეზობელთან საერთო ენის მოხატვა. დღეს კი ყოველი თავისუფალი ქართველი წყრომით პროტესტს აცხადებს მისი ტერიტორიის გაღების განზრახვის წინააღმდეგ.

საქართველოს ტერიტორიის კითხვამ და სიმონის სიკვდილმა აქ მწვავე აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია:

«რომ ბრძოლი დაკარგეთ, რა პატრიოტი, რა საქართველოს ინტერესების დამცველი, ეჭვი არაა სამშობლოს ტერიტორიის ჯიჯგნამ, მტრის და მოყვრის მიერ მისი სხვებისთვის მითავაზებამ განსვენებულის სიჯანმთელეზე ღრმად იმოქმედა».

— «მართალია, დიდი პატრიოტი პირად უბედურებას უფრო ადვილად იტანს, ვიდრე საყვარელ სამშობლოს განსაცდელს, მით უმეტეს ის, როგორც ოსმალეთში ელჩად ნამყოფი, ამ კითხვას სხვებზე ახლო ედგა და ღრმად განიცდიდა».

მესამემ თქვა: «ამ შემცდარ მეზობლებს ვინ ეკითხება. ქართველი ხალხი არავის მისცემს თავის მიწა-წყალს. დღეს ოკუპანტების ქვეშ სულ განაბული ის ყურს უღებებს და თავის მტერ-მოყვარეს ეცნობიერება»...

ამ საგანზე აქ გამოთქმული სიტყვები შორს წაგვაცვანდა. სანუგეშო ის არის, რომ სისიკოს ბრძოლის მაგალითით არა ერთი ქართველი აენთება. მისი წარსული, მისზე ნათქვამი არა ერთ ქართველს ჩააფიქრებს და თუ ვინმე კიდევ არის ერის ორგული, შემცდარი, ან დაენიბთ, სხვებზე გულმოსვლით სწორი გზიდან გამდგარი—სისიკოს წარსულს ჩაუკვირდება, მიჰბაძავს და სანამ გვიანი არაა, ქართველი ერის წყევლა-კრულვას აცდება.

სისიკო, როგორც მთელი თავის სიცოცხლეში ისე თავის უკანასკნელ დღეებშიც, სამშობლოზე





ზრუნავდა, ოთხი დეკემბრის კრების მოწყობით თავის სამშობლოს საზღვრებს იცავდა, თავის მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწა-წყალზე ფიქრობდა. თავისი სამსახური თავის ერის წინაშე მან პირნათლად შეასრულა...

ქვემოთაა უყვანილი ცნობები საყურადღებოდ მიგვაჩნია არა იმიტომ, რომ გვინტერესებდეს ტროცკის პიროვნება და ბედი, რომელსაც დიდი წილი მიუძღვის საქართველოს განადგურებაში, არამედ იმიტომ, რომ ეს ცნობები, რაც ვიცით, იმაზე დამატებით შექსა ჰყვენენ სტალინის და მისი მორჩილი სამსახურის მოქმედებებს საბჭოთა ტერიტორიაზე.

ინტერნაციონალურ კომისიამ, რომელიც იკვლევდა მოსკოვის წამოყენებულ ტროცკის დანაშაულობას, გაამართლა ტროცკი და მისი შვილი ლეონი სედოვი მოსკოვში მისჯილ დანაშაულისგან.

ნიუორკში 12 დეკემბერს საჯარო კრებაზე, რომელსაც დაესწრო ორი ათასამდე კაცი და ქალი — მათ შორის ბევრი ცნობილი პირი სხვადასხვა ლიბერალურ პოლიტიკურ მიმართულების, ინტერნაციონალურ კომისიის თავმჯდომარემ დოქტორ ჯონ დევეიმ დასაბუთებელი მოხსენება გააკეთა.

სრული მოხსენება შეიცავს 80.000 სიტყვაზე მეტსა, წიგნად გამოდის. ახლა კი მოვიყვანთ კომისიის დასკვნას.

ეს კომისია გასულ მარტში შესდგა. მისი წევრად არიან და მოხსენებას ხელს აწერენ: ყოფილი წევრი კომუნისტურ ინტერნაციონალისა და «კუმანიტეს» ყოფილი რედაქტორი ალფრედ როსმერი; ყოფილი რეისსტაგის წევრი და კარლ მარქსის ბიოგრაფიის დამწერი ოტტო რიჟლი, მექსიკოს ცნობილი პუბლიცისტი ფრანცისკო ზამარა, სოციოლოგიის პროფესორი ვისკონსონის უნივერსიტეტისა (შეერთებული შტატები) ედვარდ როსსი, კომისიის მდივნები ბ. სუზანა ლაფოლეტი და ბ. სტოლბერგი, ამ კომისიის თანამშრომელნი და მისი პასუხის მგებელნი არიან აგრედვე: იტალიის მუშათა და სოციალისტთა ინტერ. აღმას. კომიტეტის წევრი გ. მოდოლიანი; პოლიტიკურ ტუსადათ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ქალბატ. სეზარ შაბრონი; ყოფილი მდივანი ფრანგების ნაციონალურ უნიონის ფოსტის მოხელეებისა მ. მათე. «კრაპუილოტ» ის გამომცემელი ჟან გალრიერე-ბონისიერე; პროფესორი პარიზის უნივერსიტეტისა ჟაკ მადალე; თავმჯდომარე ფრანგების სოციალისტურ ვეჟილთა წრის მორის დელეპინე და სხვანნი.

კომისიას ხელი შეუწყვეს საბუთების და ცნობების მოგროვებაში სხვადასხვა ქვეყნებში ცნობილმა პოლიტიკურმა პირებმა და ორგანიზაციებმა. ცხრა თვის განმავლობაში კომისიამ მოაგროვა აუარებელი მასალა სხვადასხვა ქვეყნებიდან, დაწყებული მექსიკოდან, სადაც ტროცკის ჩამოართვა დაწვრილებითი ჩვენება და გასინჯა მისი საბუთები; შეერთებულ შტატებში, კანადაში, ბრიტანეთში, საფრანგეთში, დანიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ლატვიაში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვაგან.

კომისიამ გასინჯა და შეისწავლა ყველა მოსკო-

ვში მომხდარი დიდი პროცესები, მაგალითად: «ინდუსტრიალისტების» 1930 წელში; მენშევიკების 1931 წ.; კამენევი წინაგვიგის 1936 წ.; რადეკ პიეტაკოვის 1937 წ. და გამოიყვანა ის დასკვნა, რომ ყველა ეს პროცესები ფალსიფიკაცია და უსაბუთო არისო.

კომისიის თავმჯდომარე ბ. დევეიმ განაცხადა: «მოსკოვში არც კი უცდიათ, რომ გაეგოთ სიმართლეო; განაჩენები იყო აშენებული მხოლოდ და დატანებულ «აღსარებაზე»-ო. კომისიამ გამოიკვლია და დარწმუნდა, რომ ამ აღსარებაში ისეთი განცხადებები იყო, რომლის სიმართლე ყოველად შეუძლებელიაო.

კომისიამ დაინახა, რომ მოსკოვის სასამართლოს მოქმედება არღვევდა თვით საბუთების კანონის ყოველ მნიშვნელოვან მუხლს.

მერე, ვინისკის მიერ წამოყენებული ბრალდებები მოგონილი და შეთხზული გამოდგაო, მაგალითად, ჰოლცმანის განცხადება, რომ ის შეხვდა სედოვს კოპენჰაგენში, სადაც ორივემ ვითომცინახულეს ტროცკი. გამოირკვა, რომ სედოვი სრულად არ ყოფილა ამ ქალაქში, რომელიც ტროცკიმ გაიარა 1932 წელს. მაშასადამე ჰოლცმანი და სედოვი არ შეხვედრიან ტროცკისო. ასე ყალბია სხვა მრავალი ბრალდება.

კომისია დარწმუნდა, რომ სასამართლოში მოხსენებული ტროცკის წერილები, რომელში მან ვითომ ინსტრუქციები მისცა სხვადასხვა პასუხისმგებელთ, არასოდეს და არსად არ არსებობდა და მათზე დამყარებული ბრალდება სულ ტყვილია.

რაც შეეხება ეგრედ წოდებულ აღსარებებს, — კომისიამ გამოარკვია, რომ ეს აღმამოფოთებული სისტემა ნაძალადევი აღსარებისა გამეფებელია დღესაც მთელი ს. ს. რ. ტერიტორიაზეო. ყველა პროცესები, მათში ინდუსტრიალისტების და მენშევიკებისა, იყო მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით გამოწვეული: ან შინაური ეკონომიურ და პოლიტიკურ გამწვავებით ან საგარეო მდგომარეობის მიხედვითო...

რაც მოყვა ამ პროცესებს და ხდება დღეს რუსეთში «ტროცკისტების» სახელით, ეს ყოველდღიური დევნა ოპოზიციისა, დიდად ამაღლებულია და ამან ათასობით დაუკარგა მეგობრები რევოლუციონურ რუსეთს...

სხვათა შორის ტროცკიმ ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ სტალინი ცდილობს, მეტი რუსი იყოს ვიდრე თვით რუსებიო, რადგან ის ქართველია და ეშინია ეს არ დასწამონო. ლენინი ამაზე სწერდაო:

«სტალინი ებრძვის ქართველების ოპოზიციას როგორც ნაციონალისტურ შოვინისტურს, როცა თვითონ სტალინი არის არამც ნამდვილი რუსი შოვინისტი, არამედ უხეში პოლიციელი».

აქ თქმულბა: «სტალინი ცდილობს დაამყაროს რუსეთში კომუნისმი, თუნდაც ამას შესწიროს უკანასკნელი კომუნისტი»-ო.

ნაური.



### ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების ინტერ-

ნაციონალურ უნიონის ჩვეულებრივი სესია მოწვეული იყო 18 თებერვლისათვის ქენევაში უკვე წარსულ შემოდევიდან და მის მოსამზადებლად ამ რამდენიმე თვის განმავლობაში დღის წესრიგი და საერთაშორისო საკითხების მასალები ეგზავნებოდა ასოციაციებს; მაგრამ უცბად უკანასკნელ წუთში შეიცვალა ეს თარიღი და ეს ადგილი: სესია მიწვეული იქნა ლონდონში 14 თებერვლისათვის. ამის მიზეზად წამოაყენეს ლონდონში იაპონიის წინამძღვე საპროტესტო და ბოიკოტის გამოსაცხადებლად მიტინგების მოწყობა. ასოციაციების წარმომადგენლების დასწრებას და მონაწილეობას ეს უნდა გაეძლიერებია. ამ მსოფლიო «მშვიდობიანობის» მოძრაობას ოფიციალურად სათავეში ლორდი სესილი უდგას, მაგრამ სინამდვილეში უკიდურესი ელემენტები ხელმძღვანელობენ კომუნისტებითურთ. აი ამ მიტინგებით, რომელმაც ორი დღე გასტანა, ვახურებულ ატმოსფეროში გაიხსნა უნიონის სესია ორშაბათს დილით. ასეთ პირობებში მუშაობა, ადვილი წარმოსადგენია, მეტად ძნელია. ჯერ შესდგა გენერალსაბჭოს სხდომა, რომელმაც სხვათა შორის დაადგინა მომავალი კონგრესის მოწვევა 4 ივნისს კოპენჰაგენში და უნიონის თავმჯდომარედ ემილ ბორელი აირჩია. მას მოჰყვა იურიდიულ და პოლიტიკურ საკითხების მუდმივი კომისიის სხდომა. სწორედ ეს იყო, რაც ჩვენ გვიანტერესებდა განსაკუთრებით. მისი დღის წესრიგი ძალიან დატვირთულია ინტერნაციონალური დიდი პრობლემებით. კომისიის თავმჯდომარეობს ბელგიელი გამოჩენილი იურისტი როლენი, რომლის არალეიჯლური საქციელი ჩვენს მკითხველთ უკვე სმენია. დღის წესრიგი იწყებოდა, განაცხადა მან, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობით. ვინაიდან ჩვენ ნამეტანი ბევრი დიდი პრობლემა გვაქვს განსახილავი და დრო კი ძალიან ცოტა, საჭიროა საჩქარო კითხვებს მივაქციოთ მთელი ჩვენი ყურადღება. ანაირად ის ამზადებდა საკითხის მოხსნას. სიტყვას ღებულობს ხ. შავიშვილი და ამბობს, რომ თავმჯდომარემ მართალი სთქვა, რომ დღის წესრიგი მართლაც ნამეტნავადაა დატვირთული. ამიტომ დროს მოგება იქნება, თუ ასეთ ნათელ და ყველასათვის უდავო საქმეზე, როგორცაა საქართველოს საკითხი, დისკუსია არ გაიმართება და რეზოლუცია ერთხმად მიღებულ იქნება. «მაგრამ, დასძინა მან, თუ დისკუსია მაინც საჭიროდ მიგაჩნიათ, მე საწინამდევო არა მაქვს რა, საგნის დასასაბუთებლად ფაქტები და დოკუმენტაცია არ მაკლია, მე თქვენს განკარგულებას ვარქო».

შემოტანილ იქმნა წინადადებები, გადასულიყვენ დღის წესრიგზე. შავიშვილი კვლავ სიტყვას ღებულობს და ამბობს: «თვით ქართველი რომ არ ვიყო, სულ სხვა ენას ვიხმარდი და სულ სხვა ძალით გამოვიდოდი. მე ვიტყვი, უნიონი მეტად დაინტერესებულია, ამ საკითხს რიგიანად მოექცეს, მედგრად დაიცვას, უფრო ვინემ თვით ქართველები,

ვინაიდან ეს საკითხი ყველაზე უფრო ფაქიზი, წმინდა, ერის უფლებების და საერთაშორისო სამართლიანობის საკითხია. ამ ნიადაგზე მტკიცედ დგომა გაუადვილებს უნიონს სხვა დიდ პრობლემების დაცვას, რადგან ამ შემთხვევაში ვერავინ უსაყვედურებს, შენ სხვა ზრახვები და პოლიტიკურ-ეკონომიური მოსაზრება გალაპარაკებო, რადგან არც ერთი დიდი პრობლემა არაა, რომელშიდაც ჩაქსოვილი არ იყოს ეს ზრახვები და მოსაზრებები... მაგრამ მე ქართველი ვარ და ამიტომ მოგაგონებთ სხვა რამეს: როცა საქართველოს თავს დაესხნენ და დაიპყრეს, აღშფოთება დიდი იყო და სიმპატიაც უფრო ერთსულყოფანი, ვინემ დღეს ჩინეთს, ისპანიის საკითხებშია. მაგრამ არც სანქციები და ბოიკოტი უზმარიათ თავდამსხმელის წინამდევ, შელახულ უფლებების აღსადგენად. რომ მაშინ ის ზომები მიეღოთ, რომლებზედაც ახლა ლაპარაკია, სხვისი უფლებების დარღვევაც არ მოხდებოდა და მაშასადამე, ამ პრობლემებს, რომლებიც თქვენ ასე გაელევეთ, ადგილი არ ექნებოდა. რას გვეუბნებოდენ მაშინ?— ერთა ლიგა მეტად ახალგაზრდაა, მისი ნორჩი მხრები ვერ გაუძლებენ ასეთს ტვირთს, როგორიც ქართველი ერის უფლებების აღდგენისათვის ზომების მიღებაა. თქვენ თხოულობთ ახლა უფლების დასაცავად ზომების მიღებას. რას გვეუბნებიან ამასზე?— ერთა ლიგა მეტად დაბერებულია, ასეთ ზომებს ვერ მიიღებს. ორატორს მოყავს ციტატები დებრუკერის სიტყვებიდან 1922 წ. ერთა ლიგის კომისიაში წარმოთქმული და პოლ ბონკურის სიტყვიდან 1924 წ. აჯანყებისას; სადაც ამობდა, რომ ორ სახელმწიფოს შორის ომი და მოითხოვდა ზომების მიღებას. ის ადარებს ამას იქვე ჩინეთის და ისპანიის სასარგებლოდ წარმოთქმულ სიტყვებს და ამბობს: ხომ ხედავთ, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. შავიშვილს მხარი დაუჭირა პრიულომომ, რომელმაც სთქვა, რომ საქართველოს მდგომარეობა არ შეცვლილა და ჩვენი მისდამი განწყობილებაც ვერ შეიცვლებოდა. მიუხედავად ამისა სხვა დელეგაციების თანხმობით თავმჯდომარემ დასვა წინასწარი საკითხი: მიგაჩნიათ საჭიროდ საკითხის გადადება, თუ არაო. ამასვე კენჭის ყრით დადებითი პასუხი მიიღო. მაგრამ საჭიროდ დაინახეს მაშინვე განეცხადებით მათი თანაგრძობა ქართველი ერისადმი. ეს ლედი გლადსტონმა ბრიტანეთის და მთელი კომისიის სახელითაც გამოსთქვა. მაშინ შავიშვილი ამბობს: როცა ასეთი ერთსულყოფანი კეთილშობილი გრძნობები გაქვთ, რატომ ამას საჯაროდ არ გამოიტანთ? ამის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია:

«ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ინტერნაციონალური უნიონი, განაგრძობს რა საქართველოს სასარგებლოდ წინედ მის მიერ მიღებულ რეზოლიუციების ძალაში შენახვას, კვლავ უცხადებს თავის სიმპატიას ქართველ ერს».





### წერილი გერმანიიდან

ცნობილ გერმანულ ყურნალ «გაისტ დერ ცაიტ»-ში («თანამედროვე სულიერი ცხოვრება»), რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ერთა არსის და სულიერი ცხოვრების გაშუქებას, გასული წლის ნოემბრის ნუმერში მოთავსებული იყო მ.წულუკიძის წერილი «უკრაინა და საქართველო რუსეთის ბატონობის ქვეშ», წერილში ნათლად არის დასურათებული ორივე დასახელებული ერის ტრაგედია, როგორც ყველანე უფრო საგულისხმიერო მაგალითები საბჭოთა კავშირის არა-რუს ერთა განუსაზღვრელი ჩაგვრისა.

იმავ ყურნალის დეკემბრის ნუმერში გამოქვეყნდა ნაწყვეტი «ქართველობის არსის შესახებ» გრ.რობაქიძის ახალი გერმანული წიგნიდან «გრალის» მცველნი, რომელსაც გერმანული პრესა განსაკუთრებული სიმპატიით შეხვდა.

გახეთ «გერმანია»-ს 11 ნოემბრის ნუმერში მოთავსებული იყო წერილი ილია ჭავჭავაძის ასიწლის იუბილეს გამოც. ქართველის ფსევდონიმით.

გერმანული პრესა განსაკუთრებული ყურადღებით ეყრება იმ საშინელ ამბებს, რომელთაც დღეს მთელ საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით საქართველოში ადგილი აქვს.

**საქართველოში ცნობილ მეცნიერთა და მწერალთა დახოცვის ამბავი უდიდესი ხანგასმით გააფრცვლა 30 დეკემბერს გერმანიის ოფიციალურმა დეპეშათა სააგენტომ. იმავ საღამოს მან იგივე ცნობა ვადმოაცემინა ბერლინის რადიოს. მეორე დილას კი ეს შემზარავი ამბავი გამოქვეყნებული იყო მთელს გერმანულ პრესაში, ყველა დახოცილთა ვინაობის აღნიშვნით. ოფიციალურმა «ფელკიშერ ბეობახტერ»-მა აღნიშნული ამბავი მოათავსა პირველ გვერდის პირველსავე ადგილზედ მეტად ხანგასმული სათაურით: «სტალინი ქლექს საქართველოს ინტელიგენციას».**

22 დეკემბერს ბერლინის ქართველმა კალონიამ მოაწყო კრება ილია ჭავჭავაძის ასიწლის იუბილეს აღსანიშნავად. მოგონებითი სიტყვები წარმოსთქვეს გრ. დიასამიძემ და ვლ. ახმეტელმა.

27 იანვარს ბერლინში გაიმართა ნინოლობა ტრადიციული საღამო-ბალით. უზარმაზარი სახეიმო დარბაზი ბერლინის ზოლოფიური ბალის შენობისა, რომელშიაც ჩვეულებრივი გერმანული ბალები იმართება, ამ ქართულ საღამოზედაც საესე იყო. ზალა მორთული იყო ქართული ეროვნული დროშებით და ღერბით. საღამოს დაწყებისას დღესასწაულის გამმართველ ქართველ ქალთა სახელით დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ქანი თამარ პაპავა მოკლე გრძობიერი სიტყვით, რომელიც მეორე დღეს რადიოს მიერ იქნა გადმოცემული. რამდენიმე ასეულ გერმანელს გარდა საღამოს ბლომად დაესწრენ

\*) გრალ, გრალ კელტური რაინდულ ეპოსის სასმისი, რომელიც ვითომც ქრისტემ იხმარასერობის დროს და რომელშიაც შემდეგ იოსებ არათიელმა შეინახა ჯვარცმულის სისხლი.

მოსკოვის ულის ქვეშ მომწყვდეულ სხვადასხვა ერთა წარმომადგენლები, განსაკუთრებით უკრაინელები, სომხები, თურქესტანელები და სხვ. საღამომ მეორე დილამდის გასტანა. დამსწრე საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულმა ტანმორთულობამ და ცეკვამ. ბერლინის პრესამაც კვლავინდებური თანაგრძობით აღნიშნა ქართული საღამო.

«ამ საღამოთი ბერლინის ქართველობამ არა მარტო თავისი რიგები შეამჭიდროვა, არამედ მრავალი ახალი მეგობარიც შეიძინა» — სწერდა «ფელკიშერ ბეობახტერ»-ი.

14 თებერვალს შესდგა წლიური კრება ბერლინის ქართველ კალონისა, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა «ქართველი ახალშენი გერმანიაში». ძველი გამგეობის მოხსენების მოსმენისა და დამტკიცების შემდეგ კრებამ აირჩია ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარედ ბ. კოკი კიზირია, გამგეობის წევრებად ბ.ბ. სანდრო კორძია და ლეო ჭეიშვილი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ბ.ბ. გიორგი საჯაია და ვანო გოგნიანი. **ახალშენის სამსჯავროს საპატიო წევრად** არჩეულ იქნა ბ. აკაკი პაპავა. **წ. ი.**



დაბეჯითებით ვთხოვთ ხელის მომწერთ, დროზე შემოდტანენ ხელის მოწერის ფასი. ვიხედავ დარჩენილია ძველი, მოვავგნებთ, რემ გაასწორენ ანგარიში, მოკლე ვადაში.



### მ ე მ რ ა ნ დ უ შ ი

კავკასიის, თურქისტანის და უკრაინის ერების მეგობრობის კომიტეტმა ვრცელი დასაბუთებულ იმემორანდუმი გადასცა ყველა სახელმწიფოს მთავრობებს საბჭოებში მომხდარ არჩევნების და უმაღლესი საბჭოს არჩევის შესახებ. მემორანდუმი გარჩეულია ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუცია, რომელიც წინანდელზე უფრო ზღუდავს ეროვნულ რესპუბლიკების სახელმწიფოებრივობას და აძლიერებს ცენტრალიზაციას, განმარტებულია მთელი სიყალბე საარჩევნო კანონისა და აღნიშნულია, თუ რა გაუგონარი ტერორის ქვეშ მოხდა უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევა. თვით ამ საბჭოს შემადგენლობა, სადაც რუსეთის დეპუტატია 358 და სხვა «მოკავშირე» რესპუბლიკების 201, თავის თავად ცხადპყოფს არა რუს ერების მდგომარეობას. გარდა ამისა ეროვნულ რესპუბლიკებში ბევრგან არჩეულნი არიან რუსები ნაცვლად ადგილობრივ მკვიდრთა.

მომხდარი არჩევნები სრულებით არ წარმოადგენენ ხალხის ნებისყოფის გამოხატვას. დაჩაგრული ერები ისევ შეუთრეგებლნი რჩებიან და განაგრძობენ ბრძოლას სრულ გამარჯვებამდე.



სამგლოვნიარო კრება

კვირას, 20 თებერვალს, პარიზში ღას კაზის და-  
რბაზში შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართველთა სა-  
ზოგადოების გამგეობის მოწვევით სამგლოვიარო  
კრება ბოლშევიკების საქართველოზე თავდასხმის  
მეჩვიდმეტე წლის თავზე.

სიტყვები წარმოსთქვეს: ბბ. ვ. ღამბაშიძემ, რ.  
არსენიძემ, ვ. ინწკირველმა, ელ. პატარიძემ, დ. დან.  
ყურულაშვილებმა.

კრებას მრავალი ხალხი დაესწრო.

ბიბლიოგრაფია

ალ. მანველიშვილი. საქართველოს საზღვრები.

პარიზი 1938.

ბ. ა. მანველიშვილის 61 გვერდიანი წიგნაკი ეხე-  
ბა მეტად საჭირობოროტო საკითხს, რომელ რ დღეს  
ასე აქტუალური გახდა ბამატისტების პოზიციის  
გამო. მთელი წიგნი მიმართულია სწორედ ამ უკანა-  
სწინელების წინამდევ. იგი შესდგება სამი თავისაგან.  
პირველში (საქართველოს ტერიტორია და საზღვ-  
რები) ავტორი არკვევს დაწვრილებით ჩვენი ქვეყნის  
ისტორიულს საზღვრებს, მათ მნიშვნელობას, შეც-  
ვლას. ქართველები ხანდახან იძულებულნი ხდე-  
ბოდნენ უკან დაეხიათ ამ საზღვრებიდან, მაგრამ ის-  
ინი დაჟინებით ცდილობდნენ მათ აღდგენას, რადგან  
ეს აუცილებლად მიაჩნდათ სამშობლოს თავდაცვი-  
სათვის და მისი ეკონომიური კეთილდღეობისათ-  
ვის. მეორე თავი (ყურნალ «კავკაზის» ორიენტაცია  
და საქართველო) არჩევს საერთოდ «კავკაზის» მუ-  
შაობას და განსაკუთრებით მის მიდგომას საქარ-  
ველოს ტერიტორიის საკითხისადმი. ავტორს ყოვე-  
ლად შეუწყნარებლად მიაჩნია ბამატის ჩარევა ქარ-  
თულ შინაურ საქმეებში, და აღნიშნავს რა ზოგიერ-  
თების პროპაგანდას—თითქოს ქართველ ერს გამო-  
ელია ენერგია და უნარი, რაც მას პირველობას ანი-  
ჭებდა, და ახლა კავკასიაში გაჩნდნენ ახალი ძალები  
(ერებნი), რომელნიც მოწოდებულნი არიან ქართვე-  
ლი ერის შესაცვლელად,—ავტორი ამბობს: «ქარ-  
ველი ერი აღტაცებით მოელის მის თანამოსისღვე  
მთიელთა აღორძინებას, მაშასადამე ჩვენთან მათ  
მეგობრების მეტი არავინ უნდა ეგულებოდეთ. დღეს  
დღეობით კი ბამატ-ელექტორებს მაინც ვერ მივ-  
ცემთ ნებას ქართველი საზოგადოების ჭკუის დამ-  
რიგებლად გამოვიდნენ». ამას მოსდევს ირანის და  
ოსმალეთის შორეული და ახლობელი წარსულის  
პოლიტიკის განხილვა საქართველოს მიმარ. უკა-  
ნასკნელ მესამე თავში (ბ. ავალიშვილის ლაშქრობა  
სამცხე-სათბაგოზე) ავტორი არღვევს ზ. ავალიშვი-  
ლის ყალბს დებულებებს.

წიგნაკი დაწერილია კარგი ქართულით, ცოცხ-  
ლად და იმ ეროვნული შეგნების ვანცდით, რომლი-  
თაც უნდა მიუდგეს ყოველი ქართველი საქართვე-  
ლოს არსებობის საკითხებს.

№.

ქართველები პოლონეთში

7 თებერვალს პოლონეთის ლიტერატურის აკა-  
დემიაში—აკადემიის თავჯდომარემ სენატორმა ვა-  
ცლავ სეროშევსკიმ მიიღო ქართველთა დელეგაცია  
შემდევის შემადგენლობით: 1) პოლონეთში მყოფ  
ქართველთა კომიტეტის თავმჯ. კ. იმნაძე, 2) ვარ-  
შავის უნივერსიტეტის პროფესორი მღვდ. გრ. ფე-  
რაძე და როტმისტრი დ. შალიკაშვილი.

კ. იმნაძე მიესალმა სენ. ვ. სეროშევსკის და მად-  
ლობა გადაუხადა ეროვნულ მთავრობის თავმჯდო-  
მარის და დელეგაციის სახელით. დ. შალიკაშვილმა  
წაიკითხა და გადასცა საქართველოს ეროვნული მთა-  
ვრობის თავმჯდომარის ბ. ნოე ყორდანის სამად-  
ლობელი წერილი.

სენატორმა თბილი, მოკლე სიტყვა ასე დაასრუ-  
ლა: «ეს წერილი დარჩება ჩემთვის ძვირფას სამახ-  
სოვრო დოკუმენტად», რის შემდეგ დელეგაციის  
წევრნი მიიწვია კერძო თათბირზე... გამომშვიდო-  
ბებისას სეროშევსკიმ შემდეგი სიტყვებით გამოის-  
ტუმრა დელეგაცია: «მეწმუნეთ, რომ საქართველო  
და ქართველი ერის საკითხი სიკვდილამდის დასად-  
გურებულა ჩემს გულში»-ო.

13 თებერვალს იგივე დელეგაცია მიღებულ იქნა  
აღმოსავლეთის ინსტიტუტის თავმჯდომარის სენა-  
ტორ სტანისლავ სედლეცკის მიერ, რომელზედაც  
საქარ. მთავრობის თავმჯდომარის წერილმა დიდი  
შთაბეჭდილება დასტოვა. სენატორმა დელეგაცია  
მიიპატიჟა ჩაიზე და ხანგრძლივად ესაუბრა საქარ-  
თველოს და კავკასიის საკითხზე. ბ. სედლეცკი ცნო-  
ბილია, როგორც კავკასიის დამოუკიდებლობის  
ერთი უერთგულესი დამცველი...

გამოთხოვებისას დელეგაციას უთხრა: «მუდამ  
მიგულეთ თქვენს ერთგულ მეგობრად».

წიგნილი კვლავციის მიმარო

ბატონო რედაქტორ!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ, თქვენ  
გაზეთის საშვალებით მადლობა გადაუხადო მამა  
გრ. ფერაძეს და პოლონეთში მყოფ ქართ. კომიტე-  
ტის გამგეობას, რომლებმაც თავს იდგეს სამგლო-  
ვიარო პანაშვიდის გადახდა (13 თებერვალს) გარდა-  
ცვლილი ჩემი მამის მაქსიმე იმნაძის სსოვნის პატივ-  
საცემლად. აგრედვე მადლობას ვუხდი ყველა მათ,  
ვინც კეთილ ინება და დაესწრო პანაშვიდს, და მა-  
თაც, ვინც პარიზიდან წერილობით სამძიმარი გამო-  
მიცხადა.

ღრმა პატივისცემით ვ. იმნაძე.



გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული  
უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA

10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France.